საბა

№4(184)
აპრილი
2011

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

• მხოლოდ მდიდრები უნდა განიკურნონ?

• ვინ მოკლა იესო?

წმ. იოსების დღესასწაული არალში

მიეცი შესაძლებლობა
ყოველ დღეს,
იყოს უმშვენიერესი
შენს
ცხოვრებაში

„რა, სად, როდის?“ გამარჯვებულები

ხიზაბავრელი ახალგაზრდები ბაკურიანში

სტუდენტები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კავშირის „ია“-ს მობინადრეებთან

იაპონიის ტრაგედია – სიცოცხლე გრძელდება...

მხოლოდ მდიდრები უნდა განიკურნონ?

საზოგადოებაში ფართოდ იკიდებს ფეხს იმის შეგნება, რომ პიროვნების ძირითად და გარანტირებულ უფლებებს შორის არის ჯანმრთელობის უფლება, რაც ასევე გულისხმობს ადექვატური მკურნალობისა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას. კათოლიკეები, – და არა მარტო ისინი, – აცხადებენ, რომ სიცოცხლის დაცვა და განვითარება, ჩასახვიდან თვით სიკვდილამდე, ჯანმრთელობასთანაა დაკავშირებული. მსოფლიოში არ არსებობს ხელისუფლება, რომელსაც საკუთარ სამოქმედო პროგრამაში შეტანილი არ ჰქონდეს ეს სფერო, თუნდაც იმიტომ რომ ჯანმრთელობა დღეს მიჩნეულია ისეთ პირობად, რის გარეშეც sine qua non განვითარება არ ხდება. ცნობილია, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი ჯანმრთელობასა და განვითარებას შორის; შეუძლებელია განვითარება მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების გარეშე: ზოგიერთი ქვეყნის კეთილდღეობა ბევრად განაპირობა მრავალი ისეთი დაავადების შემცირებამ, რაც დიდ საშიშროებას წარმოადგენდა საზოგადოებისთვის. ეს იყო მნიშვნელოვანი მონაპოვარი და იგი დღემდე რჩება ყველა ქვეყნისათვის მისაღწევ მიზნად.

ვინაიდან დღესაც არსებობს მკვეთრი უთანასწორობა მსოფლიო და ნაციონალურ დონეზე, ზოგიერთი დაავადების შემცირების ალბათობა დაკავშირებულია პიროვნების სოციალურ-ეკონომიკურ პირობაზე (პროფესია, წლიური შემოსავალი, განათლება, დაბადების ადგილი, სქესი...): გულსისხლძარღვთა დაავადებითა და დიაბეტით დაღუპულთა 80% დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებზე მოდის. იაპონელ ბავშვს 80 წლამდე ცხოვრების შანსი აქვს, რასაც ვერ ვიტყვით ბრაზილიელ, ინდოელ, ანგოლელ ბავშვებზე, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ძლივს აღწევს 50 წელს; ამგვარი პროცენტულობა შეიძლება მკვეთრად შემცირდეს, თუკი ადამიანები ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვრებენ და შეძლებენ სასარგებლო საკვების მიღებას.

არც სანიტარული მომსახურებაა გადანაწილებული სამართლიანად: მდიდრები თავს უფლებას აძლევენ, რომ საუკეთესო სპეციალისტებთან გადაიხადონ ვიზიტების საფასური, ხოლო ღარიბები იძულებულნი არიან, რიგში ჩადგნენ. მათ ხელი არ მიუწვდებათ პრევენციაზე, რის გამოც საბოლოოდ მძიმედ ავადდებიან. ყველაზე მეტად კი მოხუცები ისჯებიან, რომლებსაც ძალა არ შესწევთ, რომ საკუთარ თავს ყურადღება მიაქციონ. ამ ვითარების გასაცნობად საინტერესოა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სხვადასხვა საანგარიშო მოხსენების გადაკითხვა; საჭიროა, შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ ყველას მიუწვდებოდეს ხელი სამედიცინო მომსახურებასა და აუცილებელ მკურნალობაზე; ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის გაჩაღებული ბრძოლა ნიშნავს სიღატაკესთან ბრძოლას, იმ რესურსების უკეთ გადანაწილების მიზნით, რომელიც უფრო მეტად ჰუმანურს გახდის ცხოვრების პირობებს. ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ კეთილმოწყობილი საავადმყოფოების აგება, ან ლამაზი აფთიაქების გახსნა, თუკი ხალხს არ ექნება მკურნალობისა და წამლებისათვის საჭირო თანხა! ამ ჭრილში, მნიშვნელოვანია პრევენცია, ფორმაცია და ინფორმაცია (გავიხსენოთ, რამდენი უბედური შემთხვევის თავიდან აცილება შეიძლებოდა, თუკი დაცული იქნებოდა შრომის კანონი; რამდენი ინციდენტის, – თუკი დაცული იქნებოდა საგზაო წესები, ან გზები კარგად იქნებოდა მოვლილი, ან ნასვამები რომ ვყოფილიყავით, პოლიციას რომ თავისი მოვალეობა შეესრულებინა... რამდენი სიმსივნური დაავადება იკლებდა, ამდენი რომ არ მოგვეწია, ბუნებისთვის უფრო მეტი პატივი რომ მიგვეგო...). დღეს, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო რესურსები ჯანმრთელობის ისეთ დონეს უზრუნველყოფს, რაც ოდესღაც წარმოუდგენელი იყო; ცხადია, მეცნიერულ პროგრესს უზარმაზარი შანსი ეძლევა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისით ყველა ისარგებლებს. ფული, ცენზი, სოციალური სტატუსი ჯერ კიდევ ბატონობს! გავიხსენოთ ტრანსპლანტაცია – ორგანოების გადანერგვა, რითაც სარგებლობენ მხოლოდ ისინი, ვისაც ფული აქვთ... რამდენი პიროვნება კმაყოფილდება საქართველოში მხოლოდ ფართო მოხმარების მედიკამენტით, ისე რომ არ შეუძლია განსაკუთრებული მკურნალობა და ოპერაცია ჩაიტაროს, რაც უსათუოდ კარგ შედეგამდე მიიყვანდა. რამდენი ვერ აძლევს თავს იმის უფლებას, რომ გაიკეთოს გულის რთული ოპერაცია... ან უცხოეთში წავიდეს უკეთესი მკურნალობის მიზნით! როცა ჯანმრთელობის დაცვა გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული, განა რამდენს შეუძლია, თავი გაართვას მას? როდესაც ჯანმრთელობის მხრივ რაიმე პრობლემა შეიქმნება, ოჯახი კრიზისულ სიტუაციაში ვარდება; ასეა საქართველოშიც; ადამიანები მის შესანარჩუნებლად ყველა ღონეს მიმართავენ, და ამ დროს ყოველთვის გამოჩნდებიან ისეთნი, რომლებიც ამით სარგებლობენ: სანიტარული სფეროს წარმომადგენლები, სადაზღვევო კომპანიები... აქ, ყოველ მიზეზ გარეშე, საჭიროა ეთიკის, პოლიტიკური და საკანონმდებლო ორგანოების ერთობლივი მუშაობა; მხოლოდ ეს არ კმარა: არსებობს ადამიანური თანადგომა გაჭირვებულთა მიმართ, ეს ასპექტი ხშირად მივიწყებულია ეკონომიკის ან სანიტარული კანონმდებლობის სფეროში; რატომ არ უნდა მოვთხოვოთ მათ, რომლებიც უკეთეს პირობებში არიან, ნაწილობრივ მაინც შეეწიონ ყველაზე გაჭირვებულ ავადმყოფებს შესაბამისი თანხებით? დიდმარხვაში ესეც შეიძლება გახდეს მარხვის ახალი, კონკრეტული ფორმა. საბედნიეროდ, საქართველოში, სანიტარულ სფეროში ყოველთვის არიან პიროვნებები, რომლებიც, ცალკეული ადამიანებისადმი თავიანთი უანგარო და მადლიანი საქციელით, მოყვასისადმი სიყვარულით, იმედის წყაროდ იქცევიან ესოდენ კომერციულ და კომპიუტერიზებულ სამყაროში.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

იაპონიის ტრაგედია

11 მარტს კუნძულ ჰონსიუს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს თავს დაატყდა იაპონიის ისტორიაში უძლიერესი მიწისძვრა. ბიძგების სერიას, რომელთაგან უძლიერესი 9 ბალ მაგნიტუდას შეადგენდა, ცუნამი მოჰყვა. მიანგის პრეფექტურაში ტალღის სიმაღლე 10 მეტრს აღწევდა. ზოგიერთი დასახლებული პუნქტი ცუნამმა ორჯერ დაფარა.

13 მარტს უწმიდესმა პაპმა შემდეგი სიტყვებით მოუწოდა ლოცვაზე შეკრებილთ: „ძვირფასო დებო და ძმებო! შეძრულები ვართ მიწისძვრისა და ცუნამის საშინელი სურათით. მსურს, სულიერი თანადგომა გამოვხატო ამ ქვეყნის უძვირფასეს მკვიდრთა მიმართ, რომელნიც ღირსეულად და მედგრად ებრძვიან სტიქიას. ვლოცულობ დაღუპულთათვის და მათი ნათესავებისათვის, მათთვის, ვინც დღეს ტანჯვას განიცდის ამ ტრაგიკულ მოვლენათა გამო. სულიერ სიმხნევეს ვუსურვებ მათ, ვინც მზადაა, დახმარების ხელი გაუწოდოს დაზარალებულებს“.



„კარიტასის“ იაპონიის განყოფილებამ ამ ტრაგიკულ დღეებში მთელი თავისი ძალები დაზარალებულთა დასახმარებლად მიმართა. ორგანიზაციას შეუერთდნენ ქრისტიანი მოხალისეები ქვეყნის ყველა კუთხიდან. როგორც „კარიტასის“ იაპონიის განყოფილების დირექტორი დაზუკე ნარუი აღნიშნავს, ყველაზე დაზარალებულ რეგიონებში უმთავრეს პრობლემას საკვებისა და საწვავის ნაკლებობა წარმოადგენს. ორგანიზაციის დახმარების ადრესატები პირველ რიგში ბავშვები, ინვალიდები და მოხუცები არიან. ნარუი ასევე აღნიშნავს, რომ იაპონელები სტიქიაზე ამ ხალხისთვის დამახასიათებელი თავშეკავებით რეაგირებენ და ერთურთისადმი დიდ თანადგომას ავლენენ. მაგრამ სრულიად გასაგებია, რომ ხალხში შიშმა დაისადგურა, მით უმეტეს რომ სტიქია ჯერაც არ ცხრება და მიწისქვეშა ბიძგები გრძელდება. ორგანიზაცია გეგმავს რეაბილიტაციის გრძელვადიან პროგრამას, რომელშიც დიდი ადგილი ფსიქოლოგიურ დახმარებას დაეთმობა.

„კარიტასის“ იტალიის განყოფილებამ, პირველი დახმარების სახით, 100 000 ევრო გამოყო. ორგანიზაციის სხვა ქვეყნის განყოფილებებიც გამოეხმაურნენ დახმარების თხოვნას. პაპის საბჭომ Cor Unum (ერთი გულით) დაზარალებულთა დასახმარებლად 150 000 ევრო გადარიცხა. სხვადასხვა ქვეყნის კათოლიკე მორწმუნეები იაპონიის ტრაგედიის მსხვერპლთა ყოფის შესამსუბუქებლად თავიანთი წვლილის გაღებას ცდილობენ.

იაპონიის პოლიციის ეროვნული სამმართველოს ოფიციალური მონაცემებით, 20 მარტისთვის დაღუპულია 8277 ადამიანი, 12722 კი დაკარგულად ითვლება.

კათოლიკე იერარქები ლიბიის მოვლენების შესახებ

ლიბიაში კადაფის რაზმების კონტრშეტევა გრძელდება. დაიბომბა ბენღაზის აეროპორტი, ქალაქის ზოგიერთ ნაწილში შეიარაღებული შეჯახებები მოხდა. საერთაშორისო საზოგადოებრიობა დაძაბულად ელის გაეროს შემდგომ ნაბიჯებს. 19 მარტს მას-მედიის საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ დაადასტურა სამხედრო ჩარევის აუცილებლობა.

„ქალაქში მღელვარება და შიშია დასადგურებული. ჩვენ გვეშინია, რომ სიტუაცია გაუარესდება. ერთი შეხედვით, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. არის ელექტროენერგია, წყალი, საკვები პროდუქტების შეძენის საშუალება. თუმცა ქარიშხლის მოახლოება იგრძნობა. კადაფის რაზმები აჯდაბის მიუახლოვდნენ და გაურკვეველია, შეძლებენ თუ არა აჯანყებულები შეიარაღებული რაზმების მოგერიებას. საჰაერო ემბარგო ნაკლებ სარგებლობას მოიტანს, რადგან კადაფის შეტევა უკვე იმ ეტაპზეა, როდესაც ავიაცია არცთუ აუცილებელია“, – აღნიშნა 18 იანვარს ბენღაზის ეპისკოპოსმა სილვესტრო მაგრიმ სატელეფონო საუბარში სააგენტო „მისნას“ წარმომადგენელთან.

თუკი ბენღაზიში უარესისთვის ემზადებოდნენ, ტრიპოლიში უფრო მოლოდინის ატმოსფერო სუფევდა. ტრიპოლის ვიკარიუსმა, მამა დანიელ ფარუჯამ აღნიშ-

ნა, რომ აქ შედარებით სიმშვიდეა. ქალაქის მკვიდრნი ყოველდღიურ პრობლემებთან გამკლავებას და საკვები პროდუქტების მომარაგებას ცდილობენ. ვიკარიუსმა ერიტრეის ლტოლვილთა მძიმე მდგომარეობაზე ისაუბრა. ტრიპოლიში მათი რიცხვი ორი ათასს აღწევს. ბევრი მათგანი ქალაქის კათოლიკურ კათედრალში მოდის იმ იმედით, რომ აქ იტალიაში გამგზავრებაში დაეხმარებიან. „მათ უმრავლესობას პირადობის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ გააჩნია. აეროპორტის სიახლოვეს სახლობენ და ელიან თვითმფრინავს, რომელიც სადღაც გადაიყვანს“, – გულისტკივილით აღნიშნა ვიკარიუსმა.

19 მარტს აშშ-ს, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის სამხედრო ძალები კადაფის ჯარის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. დარტყმები კადაფის ჯარის ჰაერსანინააღმდეგო თავდაცვის ობიექტებზე განხორციელდა. საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, ლორან ტესერის განცხადებით, განადგურებული ტექნიკა „საფრთხეს წარმოადგენდა ლიბიის მშვიდობიანი მცხოვრებლებისთვის. ჩვენ ორი მიმართულებით ვმოქმედებთ: ფრენისგან თავისუფალი ზონის უზრუნველყოფა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა თავდასხმებისაგან“.

20 მარტს განადგურდა ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის 22 ობიექტი. „ოცი სამიზნე განადგურებულია, მიმდინარეობს ინფორმაციის ანალიზი ორი დარჩენილი ობიექტის განადგურების შესახებ“, – განაცხადა აშშ-ს შეიარაღებულ ძალთა აფრიკული სარდლობის წარმომადგენელმა ჯეიმს სტოკმანმა.

გერმანიის რელიგიური ლიდერები ატომური ენერგიის გამოყენების წინააღმდეგ

გერმანიის ევანგელური ეკლესიის საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოლაუს შნაიდერმა კვლავ გაახმოვანა ქვეყანაში ატომური ენერგიის მოხმარების შეწყვეტის მოთხოვნა: „ჩვენ ენერგოწარმოების ისეთი საშუალებები გვჭირდება, რომელთაც არ მოაქვთ ნგრევა და არ გვემუქრება აპოკალიფსური შედეგები შეცდომათა გამო“.

„სერიოზული დაფიქრება გვმართებს ატომური ენერგიის მომავალზე, რადგან იაპონიის კატასტროფამ შიში დანერგა ყოველი ჩვენგანის გულში“, – აღნიშნა გერმანიის ეპისკოპოსთა კონფერენციის მეთაურმა ეპისკოპოსმა რობერტ ცოლიშმა.

ტრირის ეპისკოპოსის, შტეფან აკერმანის აზრით, ატომურ ენერგიას გერმანიაში მომავალი არ გააჩნია: „რისკები, რომელიც ატომური ენერგიის გამოყენებას მოაქვს, კონტროლს არ ექვემდებარება, წარმოქმნილი პრობლემები კი გადაუჭრელია. ადამიანებს ჰგონიათ, თითქოს ტექნიკა სრულიად მართვადია. მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა იაპონიის მოვლენებმა“.

აკერმანმა ქვეყნის მესვეურებს ენერგეტიკული პოლიტიკის გადახედვისაკენ მოუწოდა. მისი აზრით, საჭიროა ენერგიის ალტერნატული წყაროების მოძიება და მათი აქტიური დანერგვა.

იოანე პავლე II facebook-ზე

ამიერიდან იოანე პავლე II-ის ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაინტერესებულნი მის შესახებ დოკუმენტური, ფოტო და ვიდეომასალის მოძიებას facebook-სა და youtube-ში შეძლებენ. ამ მეტად მოხმარებად სოციალურ ქსელსა და ვიდეო-სერვერზე იოანე პავლე II-სადმი მიძღვნილი გვერდისა და არხის გახსნის ინიციატივა საზოგადოებრივ ურთიერთობათა პაპის საბჭოს, ვატიკანის რადიოსა და ვატიკანის ტელეცენტრს ეკუთვნის. აქციის მიზანია ახალი ტექნოლოგიების გამოყენება იოანე პავლე II-ის შესახებ არსებული დიდი დოკუმენტური მასალის გავრცელებისათვის.

როგორც აღნიშნა წმიდა საყდრის პრესცენტრის მდივანმა ფედერიკო ლომბარდიმ, ეს ბენედიქტე XVI-ის რეკომენდაციათა შედეგია. პონტიფექსს არაერთხელ გაუსვამს ხაზი კომუნიკაციის ახალ საშუალებათა პოზიტიური გამოყენების აუცილებლობისათვის. „თანამედროვე ახალგაზრდობას თავად სურს სიკეთის გზავნილის გავრცელება ახალ ტექნოლოგიათა საშუალებით. ყოველ მომხმარებელს შეუძლია თავისი წვლილის შეტანა“, – დაამატა ფედერიკო ლომბარდიმ.

http://www.facebook.com/pages/Remember-Me-John-Paul-II/20503631492
www.youtube.com/giovannipaoloii

„სიხარულითა და სასოებით დავიწყოთ მარხვა“

10 მარტს უწმიდესმა პაპმა მორწმუნეებს მოუწოდა, ლოცვასა და საკუთარ ეგოიზმთან ბრძოლაში გაატარონ მარხვის მომავალი დღეები.

„იმიტომ ვზღუდავთ ჩვენს მენიუს, რომ საკუთარი ეგოიზმის დაძლევა ვისწავლოთ და სიყვარულის ნიჭის ლოგიკას ვეზიაროთ. უარს ვამბობთ ზედმეტზე, რათა საკუთარი „მე-“ს ზღუდეები გავარღვიოთ და აღმოვაჩინოთ ჩვენს გვერდით სხვა, ვიხილოთ ღმერთი ჩვენი თანამოძმეების სახეებში. გავათავისუფლოთ ჩვენი გულები მატერიალურ საგანთა სიმძიმისაგან, მიწიერი ბორკილებისაგან და მივენდოთ ღმერთს.

ძვირფასო დებო და ძმებო! სიხარულითა და სასოებით გავუდგეთ დიდმარხვის გზას. ეს ორმოცი დღე, რომელიც აღდგომას გვაშორებს, იმისთვის გვეძლევა, რომ მეტი გულისყურით ვისმინოთ ღმრთის სიტყვა, ვილოცოთ და მოვინანიოთ, მივენდოთ ღმრთის ნებას, დახმარების ხელი გავუწოდოთ მოყვასს. ეს სულიერი გზა პასექის საიდუმლოს მიღებისთვის გვამზადებს“.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

ოჯახი და დემოკრატია

წყვილების შეხვედრა ქუთაისში

2011 წლის 19 თებერვალს ქუთაისელმა კათოლიკე წყვილებმა შეხვედრების ტრადიცია განაახლეს. ამჯერად მათ „ბავშვთა ცენტრმა“ უმასპინძლა. ჩვენი საზოგადოებისთვის აქტუალურმა თემამ – „ოჯახი და დემოკრატია“, როგორც წინასწარ იყო ნავარაუდევი, ცოცხალი დისკუსია გამოიწვია.

ფსიქოლოგმა მ. გელაშვილმა, შეხვედრის თემის განხილვისას, ხაზი გაუსვა ოჯახის სტრუქტურასა და საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ფორმაციას შორის ღრმა კავშირს.

დემოკრატია სხვისი უფლების პატივისცემაზე დაფუძნებული ნების თავისუფლებაა. თვით კამათის პროცესიც დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული აქტია. ისეთი ოჯახის წევრები, სადაც ქალისა და მამაკაცის უფლებები თანასწორი არაა, სადაც ძალადობა გენდერული უთანასწორობის საფუძველზე ხორციელდება, ძნელად ახერხებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ინტეგრირებას. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ადამიანის მენტალობა ხდება დემოკრატიის დარღვევის მიზეზი, როგორც კაპიტულაცია საკუთარი სინდისის წინაშე.

დემოკრატიული ოჯახის წევრები პატივს სცემენ ერთმანეთის არჩევანს და ენდობიან ერთმანეთის გადაწყვეტილებებს. ასეთ ოჯახებში ყველაფერი კეთდება ურთიერთშეთანხმებითა და პასუხისმგებლობით.

ოჯახურმა წყვილებმა – სტუმრებმაც და მასპინძლებმაც – ერთად გამოთქვეს მოსაზრებები განხილულ თემასთან დაკავშირებით.

შეხვედრის შემდეგი ნაწილი ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს დაეთმო, სადაც წყვილები საკუთარი სუსტი წერტილების ძიებას ჩაუღრმავდნენ. ისინი გულახდილად საუბრობდნენ თავიანთი კონფლიქტების, წყენის შესახებ, და მათ ფსიქოლოგიურად გაანალიზებას ცდილობდნენ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საკუთარ თავში სუსტი წერტილის აღმოჩენისას, ბრაზი გაივლის.

პიროვნების მრისხანების მიზეზი მისსავე თავში არსებული ნაკლოვანებებია. ამიტომ საკუთარ ქვეცნობიერში მათი აღმოჩენა და გაანალიზება ბევრ უსიამოვნებას აგვაცილებს ჩვენ და ირგვლივ მყოფებსაც, რადგან პირადი აგრესიის მსხვერპლი ყველაზე ხშირად ოჯახის წევრები არიან.

შეხვედრის ბოლოს ნაჩვენებმა ფილმმა – “1984“ დაგვანახა ჩაკეტილ სივრცეში მყოფი ადამიანების მძიმე ხვედრი; ეს ადამიანები, რომელთაც ყოველგვარი უფლებები აქვთ ჩამორთმეული, ერთ მთლიან რუხ მასად ქცეულან. მათი ყოველი ქმედება დაპროგრამებულია. მთავარი გმირებისთვის, რომლებსაც თავისუფლების მოთხოვნილება შერჩენიათ, ცის ნაფლეთი და მწვანე მინდორიც თავისუფლების სიმბოლოდ აღიქმება. ფილმმა სხვის ნებას დამორჩილებული ადამიანები გვიჩვენა, დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება დაკარგონ მათ თავისუფალი აღქმის უნარი.

ამერიკელმა მწერალმა ორუელმა ჰიპერბოლიზებულად გადმოსცა ყველა ტოტალიტარული სისტემის მიზეზები და შედეგები. ფილმის დასასრულს, მთავარი მოქმედი გმირი სულით გატეხილია. მაგრამ საიდუმლოდ რჩება მისი ჩანაწერები,... რადგან ადამიანი იმედით ცოცხლობს, იმედი კი ყველაზე ბოლოს კვდება.

ნინო ჟღენტი

გაზეთ „საბა“-ს რედაქციას

მადლობა „საქართველოს კარიტასს“!

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ბატონი გიგი წერეთელი „საერთაშორისო კარიტასის“ („საქართველოს კარიტასის“ დამფუძნებელი) წარმომადგენელს, პადრე ალექსანდრე პიეტშიკს და „საქართველოს კარიტასის“ დირექტორს, პადრე ვიტოლდ შულჩინსკის შეხვდა. სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ვიცე-სპიკერს აქტიური თანამშრომლობისა და თანადგომისათვის, რომელსაც იგი „კარიტასის“ მიმართ გასული წლების განმავლობაში იჩენდა. ბატონმა გიგი წერეთელმა აღნიშნა ორგანიზაციის შედეგიანი მუშაობა და მისი ათობით პროექტი, რომლებიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხარდასაჭერად ხორციელდება, როგორც ჯანდაცვის, ასევე დასაქმების კუთხით. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ „საქართველოს კარიტასის“ თექვსმეტწლიანი შრომა ძალიან მნიშვნელოვანია, და ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა შიდა-ქართლში განხორციელებულ საბავშვო-ბაღების პროექტებზე, რომლებიც ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად აშენდა. მისი თქმით, ეკონომიურ და სოციალურ ეფექტურობასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობა. „საქართველოს კარიტასის“ დამფუძნებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მომდევნო წლის განმავლობაში მოხდება საქართველოში მიმდინარე პროექტების გადახედვა მისი ორგანიზაციის მიერ და იმედოვნებს, რომ საქართველო დარჩება ერთგული პარტნიორი, ვისთანაც „კარიტასი“ ნაყოფიერად ითანამშრომლებს.

თქვენთვის ცნობილია, რომ მე, 1992 წლიდან დღემდე, თავდაპირველად სამი წელი, როგორც მოხალისე, შემდგომ კი „კარიტასის“ თანამშრომელი, „საქართველოს კარიტასის“ მიერ განხორციელებული უამრავი კეთილშობილური, დროული და სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტებისა და ათასობით გაჭირვებული ადამიანის მსახურების მოწმე გახლავართ; ამასთანავე, კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის ნდობის ხიდის შენების მონაწილე. მინდა მოგახსენოთ, რომ დიდი ყურადღებით წავიკითხე ჟურნალ „საბა“-ს 2011 წლის მარტის მე-3 ნომერში გამოქვეყნებული სტატიები, სადაც, ვფიქრობ, დიდი ყურადღება დაუთმეთ „საქართველოს კარიტასს“.

ამასთან დაკავშირებით, ვიმედოვნებთ, რომ უარს არ გვეტყვით, ჟურნალ „საბა“-ს მომდევნო ნომერში გამოაქვეყნოთ სტატია Вне политики Спасибо «Каритас Грузии»!, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს რუსულენოვანი გაზეთის - „გოლოვინსკი პროსპექტი“ მე-10 ნომერში (2011 წ. 2-8 მარტი, მე-9 გვ.).

გიგზავნით მის ქართულ ვარიანტს.

პატივისცემით

ნაზი კვარჩია

„საქართველოს კარიტასი“

P.S. მინდა, აღვნიშნო რუსულ სტატიაში გაპარული შეცდომები: – „კარიტასი“ არის არა 15, არამედ 16 წლისა, ხოლო პადრე ალექსანდრე პიეტშიკი „საქართველოს კარიტასის“ დამფუძნებლის, „საერთაშორისო კარიტასის“ წარმომადგენელი კომისარია, და არა პრეზიდენტი, რაც უნდა გაითვალისწინოს „საბა“-მ თარგმანის გამოქვეყნებისას.

თორმეტი შეკითხვა იესოს შესახებ

10. ვინ მოკლა იესო?

საუკუნეების განმავლობაში ებრაელ ხალხს ბრალს სდებდნენ და აძაგებდნენ ქრისტეს მკვლელობის გამო. მაგრამ ეს არასოდეს განუცხადებია არც ბიბლიას და არც ეკლესიას, და თუკი ვინმე ამას ამტკიცებდა, ეს ცალკეულ პიროვნებათა თვალსაზრისი იყო. ისტორიული ფაქტია, რომ რომაელმა ჯარისკაცებმა გაროზგეს და ჯვარს აცვეს იესო, რითაც იგი სიკვდილამდე მიიყვანეს დიდი პარასკევის დღეს. მართალია, ებრაელთა რელიგიურმა ლიდერებმა სინედრიონიდან შეთქმულება მოაწყვეს იუდასთან ერთად, რომელსაც ოცდაათი ვერცხლი მისცეს ქრთამად, რათა მას თავისი მოძღვარი გაეცა იესოს ადვილად შესაპყრობად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი არ წარმოადგენენ არც მთელ ებრაელ მოსახლეობას და არც მთელ ებრაულ რელიგიას.

თუ გაუმართლებელია ებრაელთა მიჩნევა ბრალეულებად, ასევე უმართებულოა ბრალის დადება რომაელთათვის ან მათი მემკვიდრეებისათვის (იტალიელებისათვის). ებრაელთა რელიგიური მმართველობის კონკრეტულმა პიროვნებებმა ხმები გაავრცელეს, რომ იესო მკრეხელობას ჩადიოდა ღმრთის წინაშე და სიცრუით ბრალი დასდეს მას ღმრთის გმობაში, რათა მისთვის სიკვდილის განაჩენი გამოეტანათ. ნამდვილი დამნაშავეები, ვისაც ბრალი მიუძღვის იესოს შემაძრწუნებელი სიკვდილის გამო, ყოველი ადამიანია, რომელსაც უცოცხლია, ცოცხლობს ან იცოცხლებს. ყოველ ჩვენგანს ხელებზე გვამჩნევია იესოს სისხლი. ყველანი დამნაშავენი ვართ. იგი მოკვდა ჩვენი ცოდვების გამო. სრულიად უმნიშვნელოა, თუ ვინ იყო ან არ იყო იქ ორი ათასწლეულის წინათ. კაცობრიობამ სცოდა ღმრთის წინაშე. კაცობრიობა უნდა ყოფილიყო ხსნილი და გადარჩენილი იესოს ჯვარცმით.

მასალა მოამზადა
მერაბ ღაღანიძემ

„ჩემი სახელია შაჰბაზ ბჰატი. დავიბადე კათოლიკეთა ოჯახში. მამაჩემი მასწავლებელია, ამჟამად პენსიონერი, დედაჩემი კი დიასახლისი; მათ ქრისტიანული ღირებულებებითა და ბიბლიური სწავლებით აღმზარდეს, რამაც დიდი გავლენა იქონია ჩემს ბავშვობაზე. ბავშვობიდანვე მიჩვეული ვიყავი ეკლესიაში სიარულს და ღრმა შთაგონების წყაროს საღვთო წერილში, იესოს ვნებასა და ჯვარცმაში ვპოვებდი. იესოს სიყვარულმა გამაბედვინა ეკლესიაში მსახურება. ძლიერ მაფიქრებდა ის აუტანელი პირობები, რაშიც პაკისტანელი ქრისტიანები იმყოფებოდნენ. კარგად მახსოვს, ერთხელ, აღდგომის პარასკევს (მაშინ სულ რაღაც ცამეტი წლისა ვიყავი), ეკლესიაში ქადაგება მოვისმინე იესოს მიერ ჩვენს გამოსახსნელად და წუთისოფლის საცხოვნებლად გაღებულ მსხვერპლზე. მაშინ მივხვდი, რომ პასუხი უნდა გამეცა მის ამ სიყვარულზე, რაც გამოიხატებოდა მოყვასისადმი სიყვარულით, ქრისტიანთა მსახურებით, უფრო მეტად კი ამ ისლამურ ქვეყანაში მცხოვრები ღატაკების, შეჭირვებულებისა და დევნილების დახმარებით. არაერთხელ შემომთავაზეს ხელისუფლებაში თანამდებობა და სანაცვლოდ ამ ბრძოლიდან გამოსვლა მომთხოვეს, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი, თუნდაც ამით სიცოცხლე ჩამეგდო საფრთხეში. ჩემი პასუხი შეუვალი იყო: "არა, მე მინდა, ისე ვემსახურო იესოს, როგორც ერთი რიგითი ადამიანი". ამგვარი სწრაფვა ბედნიერებას მანიჭებდა. არც პოპულარობა მინდოდა, არც თანამდებობა. მე მხოლოდ იესოს ფერხთით მინდოდა მქონოდა ადგილი. მინდა, რომ ჩემი ცხოვრება, ჩემი ხასიათი, ჩემი საქმეები იმაზე მეტყველებდეს, რომ მე იესო ქრისტეს მივყვები. ეს ისეთი სანუკვარი ოცნებაა, რომ თავს გამორჩეულ ადამიანად ჩავთვლიდი, თუკი ამ ჩემს ძალისხმევასა და ბრძოლაში, – რასაც პაკისტანში მყოფი შეჭირვებული, ღატაკი და დევნილი ქრისტიანების მიმართ ვიჩენ, – იესო ჩემს სიცოცხლეს მსხვერპლად მიიღებდა. მინდა, ქრისტესთვის გავლიო სიცოცხლე და მისთვის მოვკვდე. ამქვეყნად არაფრის მეშინია. რამდენჯერ სცადეს ექსტრემისტებმა ჩემი მოკვლა და დაპატიმრება; მემუქრებოდნენ, მდევნიდნენ და ტერორქვეშ ამყოფებდნენ ჩემს ოჯახს. რამდენიმე წლის წინ, ექსტრემისტებმა ჩემს მშობლებს შეუთვალეს, რომ დავერწმუნებინეთ მე, შემეწყვიტა ჩემი მისია – ქრისტიანთა და შეჭირვებულთა დახმარება, თუ არადა, სამუდამოდ დამკარგავდნენ. მამა ყოველთვის მამხნევებდა. მას ვუთხარი, რომ სანამ პირში სული მედგა, იესოს და ამ ტანჯული, უპოვარი ქრისტიანების მსახურებაში ვიქნებოდი. მინდა გითხრათ, რომ უშრეტ ენერგიას ვიღებ წმიდა ბიბლიიდან და იესო ქრისტეს ცხოვრებიდან. რაც მეტად ვკითხულობ ახალ და ძველ აღთქმას, უფლის სიტყვები და ბიბლიური ფრაზები მით უფრო მმატებენ ძალას და მიმყარებენ გადაწყვეტილებას. როდესაც ვფიქრობ, რომ იესო ქრისტემ ყველაფერი გაიღო მსხვერპლად, და რომ ღმერთმა საკუთარი შვილი მოავლინა ჩვენს გამოსახსნელად და საცხოვნებლად, თავს ვეკითხები, როგორი გზით შემიძლია მე, გავუყვე გოლგოთის გზას. უფალმა ჩვენმა თქვა: „ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და მომდიოს მე" (მათე, 16,24). ჩემი საყვარელი ბიბლიური ციტატა შემდეგს ღაღადებს: „მშიოდა და საჭმელი მომეცით, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და მიმიღეთ, შიშველი ვიყავი და შემმოსეთ, სნეული ვიყავი და მომინახულეთ, საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ" (მათე, 25,35-36). ამდენად, როდესაც ღატაკ და შეჭირვებულ ხალხს ვუყურებ, ვფიქრობ, რომ მათი სახით იესო მხვდება. ამიტომაც, დღენიადაგ იმას ვცდილობ, რომ,

2011 წლის 2 მარტს პაკისტანში მოკლული კათოლიკე მინისტრის შაჰბაზ ბჰატის სულიერი ანდერძი

ჩემს კოლეგებთან ერთად, დახმარება აღმოვუჩინო გაჭირვებულებს, მშიერ-მწყურვალებს".

ქრისტიანი მისიონერების შვილი, შაჰბაზ ბჰატი, 1968 წელს დაიბადა. 1985 წელს მან დააფუძნა მოძრაობა All Pakistan Minorities Alliance (Apma), რომლის თავმჯდომარეც თავად გახლდათ. იგი ასევე ხელმძღვანელობდა 1998 წელს დაარსებულ Christian Liberation Front-ს. იურისპრუდენციის დოქტორი, 2002 წლიდან პაკისტანის სახალხო პარტიის წევრი იყო და 2003 წელს არჩევნებში გამარჯვებულ პაკისტანის მთავრობაში თანამდებობაც კი მიიღო, თუმცა იმავე წლის ნოემბერში იგი თანამდებობიდან დაითხოვეს. ბჰატი სახალხოდ საუბრობდა 2005 წელს პაკისტანში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ, მუსულმანი ხალხისთვის მსოფლიოს ყველა მხრიდან ქრისტიანთა მიერ გამოგზავნილ ჰუმანიტარულ დახმარებებზე, რომ ამ დახმარებებმა ლომის წვლილი შეიტანა „ორ რელიგიას შორის სოლიდარობის, სიყვარულის, ურთიერთგაგების, თანამშრომლობისა და ტოლერანტობის ხიდის აგებაში". *„თუკი ეს სულისკვეთება გაგრძელდება, – დასძენდა იგი, – დარწმუნებული ვარ, რომ დავამარცხებთ ექსტრემისტების გულსა და გონებას. ეს კი დადებით ძვრებს მოიტანს: ხალხი აღარ შეიძულებს ერთმანეთს, აღარ მოკლავენ ადამიანებს რელიგიის სახელით, არამედ ეყვარებათ ერთურთი, მათ შორის სრული თანხმობა და ურთიერთგაგება იქნება, მშვიდობა დამყარდება ამ რეგიონში".*

2008 წელს ბჰატი უმცირესობების მინისტრად დანიშნეს. იგი ერთადერთი კათოლიკე მინისტრი გახლდათ მთელ ხელისუფლებაში. იმ დროს მან განაცხადა, რომ ამ თანამდებობას პაკისტანელი მარგინალების სასარგებლოდ თანხმდება, და რომ საკუთარ ცხოვრებას სწირავს *თანასწორობის, სოციალური სამართლიანობის, რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვის საქმეს. იქვე დასძინა, რომ მას სურდა, იმედის მესიჯი გაეგზავნა იმ პირებისთვის, რომლებიც ილუზიისა და უიმედობის ტყვეობაში იმყოფებოდნენ,* და ასევე გამოაცხადა, რომ იბრძოლებდა ღვთისმგმობელი რჯულის (ისლამის) რეფორმისათვის. მინისტრის რანგში, მან გარკვეული ზომები მიიღო რელიგიურ უმცირესობათა მხარდასაჭერად, წამოიწყო რელიგიათაშორისი დიალოგის კამპანია, გამოვიდა წინადადებით, რომ აკრძალულიყო სიძულვილის გამომწვევი საუბრები და პარლამენტში გამოეყოთ მანდატები რელიგიური უმცირესობისთვის. ბჰატმა გაბედულად დაიცვა აზია ბიბი, ქრისტიანი ქალი, რომელსაც უსაფუძვლო ბრალდებით, ღვთისგმობის მიზეზით, სიკვდილი მიუსაჯეს.

2011 წლის 2 მარტს, შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფმა გააჩერა ტრანსპორტი, რომელშიც იმყოფებოდა სამუშაოზე მიმავალი, მშობლების სახლიდან თანმხლების გარეშე გამოსული შაჰბაზ ბჰატი, ცეცხლი გაუხსნა მას და მძიმედ დაჭრა. მძღოლი გადარჩა, ხოლო ბჰატი, საავადმყოფოში მიყვანისთანავე, გარდაიცვალა. მკვლელობაზე პასუხისმგებლობა აიღო Tehrik-i-Taliban- Punjab-ის ჯგუფმა.

გამოსამშვიდობებელ ცერემონიალზე შედგა არა კათოლიკური წირვა, არამედ ეკუმენური ლოცვა, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა რელიგიური ლიდერები, რომლებმაც სამარხამდე მიაცილეს იგი. ცერემონიალი 4 მარტს გაიმართა, პანჯაბში, მინისტრის მშობლიურ სოფელში. ადგილობრივმა ეკლესიამ გადაწყვიტა, რომ ეს ყოფილიყო კათოლიკე და პროტესტანტი ეპისკოპოსების, მუსულმანი და სხვა რელიგიის ლიდერებით შემდგარი ეკუმენური ლოცვა, უამრავი საერო პირის თანდასწრებით. ათასობით ქრისტიანი მორწმუნე, და ასევე სხვა რელიგიის აღმსარებელიც, – ინდუსი, სიკხი, მუსულმანი, – მონაწილეობდა ცერემონიაში, რომელიც მდუმარე ლოცვის ამაღელვებელი წუთები გახლდათ. ბჰატი სოფელში, კათოლიკეთა სასაფლაოზე დაკრძალეს.

„შაჰბაზ ბჰატი ის ადამიანი იყო, რომელმაც ღვთის ნება აღასრულა მორჩილებით, იმედით, სასუფევლის რწმენით", – ამ სიტყვებით მოიხსენია ისლამაბადის არქიეპისკოპოსმა შაჰბაზ ბჰატი პარაკლისზე, რომელიც ეკუმენურ ლოცვამდე ჩატარდა ისლამაბადში, ფატიმას სახელობის ეკლესიაში. ქადაგებაში მონს. რუფინმა ხაზი გაუსვა მინისტრის პიროვნებას და გაიხსენა კაშპური, დომენიკელთა მიერ დაარსებული კათოლიკეთა სოფელი, სადაც *„ბჰატმა მყარი სულიერი ფორმაცია მიიღო".* ამ სოფელში მუსულმანებთან (რომლებიც აქ უმცირესობას წარმოადგენენ) თანაცხოვრება *„სრულ ჰარმონიაში, გულღია დიალოგში მიმდინარეობს, და ბჰატის სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობა თავისთავად სანიმუშო მაგალითი გახლდათ... დატოვა თუ არა სოფელი, იგი პაკისტანში სასტიკ რეალობას შეეჯახა, რომელიც გამოიხატებოდა ქრისტიანთა ტანჯვით, დისკრიმინაციით, გაჭირვებით, რამაც ძლიერ შეაძრწუნა იგი. სწორედ ამან უბიძგა მას სოციალურ-პოლიტიკურ სარბიელზე გამოსასვლელად, რასაც ხალხთა სასიკეთოდ და ქრისტეს რწმენის დასამოწმებლად იყენებდა... იგი ყოველთვის მთხოვდა, მელოცა მისთვის,*

რადგან სჯეროდა, რომ ამქვეყნიური ღვაწლი, უზენაესის დაუხმარებლად, უნაყოფო, ხოლო პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობა რწმენის გარეშე, ბოროტებასთან წილნაყარი იქნებოდა", – დასძინა დასასრულს არქიეპისკოპოსმა და ყველა იქ მყოფ მორწმუნე ერისკაცს მოუწოდა, რომ გაჰყოლოდნენ ბჰატის მაგალითს თავიანთ ცხოვრებაში, თავიანთ ამქვეყნიურ მისიაში. *„ის იყო ადამიანი, რომელმაც სიცოცხლე გაიღო რწმენის გამო. მჯერა, რომ ეკლესია, ჟამთასვლაში, მას წამებულად შერაცხავს".*

ა.წ. 6 მარტს, პაპმა, საკვირაო Angelus-ის დროს, ილოცა რწმენით, რომ „პაკისტანელი მინისტრის, შაჰბაზ ბჰატის მსხვერპლად გაღებული სიცოცხლე გამოაღვიძებს ადამიანთა შეგნებაში მოვალეობის გრძნობას, რომ მამაცად დაიცვან ყოველი ადამიანის რელიგიური თავისუფლება და ასე განამტკიცონ მათი თანასწორი ღირსება".

იტალიურიდან თარგმნა ლალი ჩარკვიანმა

ვაჟა ბაღოშვილი

აღსანიშნავია, რომ ქართველ კათოლიკეთა საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი იღვწოდა და იღვწის სამედიცინო სფეროში. ეს, გარკვეულწილად, კათოლიკე მისიონერთა დამსახურებაა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საქართველოში სამკურნალო-სამედიცინო დარგის განვითარებას. ცნობილია, რომ ისინი დახელოვნებული მკურნალები იყვნენ და თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას იყენებდნენ როგორც მეფეთა და თავადთა ოჯახების საკეთილდღეოდ, ასევე უანგაროდ ემსახურებოდნენ უბრალო ხალხს. ყმაწვილთათვის ყოველ კათოლიკურ ეკლესიასთან გახსნილი იყო სასწავლებლები, სადაც, სხვა საგნებთან ერთად, ასწავლიდნენ სამკურნალო საქმეს.

ამჯერად, მინდა, „საბას“ მკითხველს გავაცნო ამ პლეადის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი **ვაჟა ბაღოშვილი** – ექიმი ლორონკოლოგი, მედიცინის ამ დარგის გამორჩეული სპეციალისტი და გულისხმიერი ადამიანი, ბათუმის ღირსეული მოქალაქე.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი

ბატონო ვაჟა, თქვენ ცნობილი ლორონკოლოგი ბრძანდებით, თქვენი მშობლებიც ექიმები იყვნენ. გვიამბეთ თქვენსა და მათ შესახებ.

დავიბადე 1939 წელს ბათუმში, ექიმების ოჯახში. ჩემი წინაპრები ბათუმში XIX საუკუნის ბოლოს ჩამოვიდნენ ახალციხიდან, კერძოდ, რაბათიდან და აქ დასახლდნენ.

მამა – ანტონ ბაღოშვილი ერთ-ერთი პირველი ოტორინოლარინგოლოგი იყო აჭარაში, დედა – სალომე ნაზარიშვილი კი – გინეკოლოგი. მამა აჭარის დამსახურებული ექიმი იყო. იგი 1936-1940 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონულ საავადმყოფოში მთავარ ექიმად. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი – ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში ქირურგად. 1951 წელს ბათუმში გაიხსნა ონკოლოგიური დისპანსერი, რომლის მთავარ ექიმად დაინიშნა მამაჩემი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, გადავწყვიტე, მშობლების კვალს გავყოლოდი და სწავლა განვაგრძე მოსკოვის №1 სამედიცინო ინსტიტუტში, იქვე დავამთავრე ორდინატურა, რომლის დასრულების შემდეგ, მუშაობა დავიწყე ჩაქვის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-ლარინგოლოგად.

1966-1969 წლებში სწავლა განვაგრძე მოსკოვის ყელ-ყურ-ცხვირის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. დისერტაციის დაცვის შემდეგ, იქვე დავიწყე მუშაობა უმცროს მეცნიერ-მუშაკად. 1974 წელს საკავშირო ჯანმრთელობის სამინისტრომ გვინეა-კონაკრის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამედიცინო ფაკულტეტის ყელ-ყურ-ცხვირის კათედრაზე მიმავლინა პედაგოგად.

გვინეაში, პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში, ჩემი ხელმძღვანელობით ადგილობრივი კადრებიდან მომზადდა ორი ექიმი ოტოლორინგოლოგი. 1976 წელს კვლავ დავბრუნდი მოსკოვის კვლევით ინსტიტუტში.

1982 წელს ჩამოვედი მშობლიურ ქალაქში და მუშაობა დავიწყე ონკოლოგიურ დისპანსერში ლორონკოლოგად, სადაც დღემდე ვმუშაობ.

1987-1988 წლებში მივლინებით ვიყავი კუბაში, ქ. ილგინის ჰოსპიტალში, დირექტორის მრჩევლად, ოტოლორინგოლოგიის განხრით. ვარ მედიცინის დოქტორი და უმაღლესი კატეგორიის ლორონკოლოგი.

ბათუმში მოღვაწე მედიცინის დამსახურებულ მუშაკთაგან, რომელ კათოლიკეებს გაიხსენებდით და რას გვიამბობდით მათ შესახებ?

აჭარაში ჩემი დროის ცნობილი მედიცინის მუშაკებიდან, რომლებიც კათოლიკური ოჯახებიდან იყვნენ, გავიხსენებ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, გიორგი ხეჩინაშვილს. იგი წლების განმავლობაში იყო აჭარის ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარი მეან-გინეკოლოგი, საქართველოს დამსახურებული ექიმი. მისი შვილი – ლევან ხეჩინაშვილი კი – ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების გამგე. ბატონი გიორგის მეორე ვაჟი – გაბრიელ ხეჩინაშვილი, ასევე მეან-გინეკოლოგი, ლენინგრადის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი იყო.

მიხეილ ამირბეგაშვილი, აჭარაში ერთ-ერთი პირველი ოფთალმოლოგი, ცნობილი ქირურგის, მაქაცარიას მოწაფე; ელენე ხითარიშვილი, თამარ ბეთანელი – ექიმი თერაპევტი.

რას ნიშნავს თქვენთვის, იყო კათოლიკე ეკლესიის წევრი?

მიმაჩნია, რომ კათოლიკე ეკლესია უდიადესი, ჭეშმარიტი ეკლესიაა, რომელსაც სათავეში უდგას რომის ეპისკოპოსი, წმ. პეტრეს მემკვიდრე. ამ ეკლესიის წევრობა უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. კათოლიკური ეკლესია დიდ როლს ასრულებს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, მისი სულიერების ჭეშმარიტი გზით წარმართვაში; იგი ძალასა და ენერგიას არ იშურებს სხვადასხვა რელიგიის ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და მათ შორის ურთიერთპატივისცემის დასამყარებლად.

თქვენი ოჯახის დანარჩენი წევრები საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლია. როგორია თქვენი დამოკიდებულება რწმენის საკითხში?

ჩემს ოჯახში ამ მხრივ სრული ჰარმონიაა. არც ერთი არ გრძნობს თავს განსხვავებული რელიგიის მიმდევრად. ერთია ღმერთი, ერთია სამება, ერთია რწმენა. ვფიქრობ, რომ ყოველი ქრისტიანი ასევე უნდა მიუდგეს ამ საკითხს. ქრისტე ხომ სიყვარულს გვასწავლის, ქრისტიანიული სარწმუნოება სიყვარულზეა დაფუძნებული. კათოლიკე ეკლესიის მესვეურნი ყოველთვის ეძებენ სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან თანხმობისა და დაახლოების გზებს, და არა კონფლიქტებს. ვატიკანის კარი ყოველთვის და ყველასათვის ღიაა დიალოგისა და მეგობრობისათვის.

რას თვლით საჭიროდ, რომის კათოლიკე და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიების დასაახლოებლად?

კათოლიკე ეკლესია ყოველთვის სიყვარულითა და მზრუნველობით იყო გამსჭვალული ქართული ეკლესიისა და ქართველი ხალხის მიმართ. ამის გამოხატულება იყო წმიდა პაპის, იოანე-პავლე მეორის ვიზიტი საქართველოში; ამას ადასტურებს საქველმოქმედო საქმიანობები, რასაც კათოლიკე ეკლესია ახორციელებს საქართველოში. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

2000 წლის იანვარში წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი იმ ორმოცკაციანი დელეგაციის წევრი, რომელიც საქართველოდან გაემგზავრა ვატიკანში. დელეგაციაში, კათოლიკეთა გარდა, იყვნენ სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიათა წარმომადგენლები, მათ შორის, მართლმადიდებლებიც. ჩემთვის დიდად ამაღელვებელი მომენტი იყო, როდესაც პაპმა იოანე-პავლე მეორემ მამა ჯუზეპე პაზოტო ეპისკოპოსად და ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა მწყემსმთავრად აკურთხა. ამაღელვებელი და საამაყო იყო წმ. პავლეს ტაძარში ქართულ ენაზე აღვლენილი წმიდა წირვა. იტალიის ქალაქების ღირსშესანიშნაობათა ნახვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და დელეგაციის ყველა წევრზე. აღსანიშნავია, რომ ქ. ბარში, წმ. ნიკოლოზის ტაძარში ერთმანეთის გვერდით აღავლენენ ლოცვებს კათოლიკეები და მართლმადიდებლები. ვფიქრობ, ეს შესაძლებელია საქართველოშიც. ურთიერთგაგების, ურთიერთსიყვარულისა და დიალოგისათვის საჭიროა კეთილი ნება და ძალისხმევა, როგორც კათოლიკე, ისე მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურთა მხრიდან, რათა საქართველოს ქრისტიანებმაც ერთად ილოცონ.

საქართველო უნდა განთავისუფლდეს კომუნისტების მიერ დანერგილი ურთიერთუნდობლობისაგან, რაც ერის დაშლასა და ქრისტიან თუ არაქრისტიან ქართველთა შორის შუღლის ჩამოგდებას ითვალისწინებდა. საქართველო საბოლოოდ უნდა გამოვიდეს რუსული ორბიტიდან და თავისი ღირსეული ადგილი დაიკავოს თავისუფალ ერთა შორის.

გენდერული საკითხები კავკასიაში

ინტერვიუ GINSC–ს (Gender Informational Network of South Caucasus, ginsc.net) ხელმძღვანელთან, ქ-ნ მაია რუსეცკისთან შედგა თბილისში; GINSC საყრდენ საინფორმაციო ცენტრს წარმოადგენს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც გენდერული საკითხებით არიან დაკავებულნი კავკასიაში, და რეგიონში მცხოვრებ ქალებს ინფორმაციას აწვდიან მათ უფლებათა შესახებ.

როგორი ვითარებაა დღეს საქართველოში ქალთა უფლებების დაცვისა და ქვეყნის ცხოვრებაში მათი მონაწილეობის მხრივ?

საქართველოში, ისევე როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, ქალები ნაკლებად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მცირეა ქალი პარლამენტარების რიცხვიც.

რაც შეეხება ქალთა უფლებებს, არსებობს პრობლემები, განსაკუთრებით ოჯახური ძალადობის კუთხით. ბოლო წლებში მრავალი ორგანიზაცია დაკავდა ამ ინიციატივით, მაგრამ პრობლემები მაინც რჩება.

განიხილება თუ არა ოჯახური ძალადობის პრობლემა ამ საკითხით დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ სოციალურ დონეზე?

ადამიანები განსხვავებულად ეკიდებიან ამ პრობლემას, მაგრამ, რადგანაც, ბოლო დროს ამ საკითხის ირგვლივ მნიშვნელოვანი საინფორმაციო კამპანია გაჩაღდა, უფრო და უფრო აცნობიერებენ მას. საქართველოში 2006 წელს მიიღეს კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ და ქალთა ორგანიზაციები ცდილობენ, რომ კანონი ფართო მასებს გააცნონ. ამით ჩვენც ვართ დაინტერესებულნი და სხვა ორგანიზაციებთან ერთად ვმუშაობთ პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს ამ კანონის პრაქტიკაში დანერგვას.

ჩვენ ხელთა გვაქვს ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე, რომელიც ყველასათვის გასაგებად განმარტავს, თუ როგორ იცავს ქალებს ეს კანონი. ვფიქრობ, ასეთი პროექტები კარგ შედეგებს მოიტანს. ფაქტობრივად, გაიზარდა სატელეფონო ზარების რიცხვი, ფაქტების მხილება და დახმარების თხოვნა. თავდაპირველად ამ სახის პრობლემებზე ქალები იშვიათად გვირეკავდნენ საკუთარი ინიციატივით. ახლა უკვე მარტო ინფორმაციის მისაღებადაც კი რეკავენ, მათ აინტერესებთ, როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები.

როგორ ახორციელებთ პრაქტიკულად თქვენს საქმიანობას?

რეგულარულად ვაწყობთ საინფორმაციო სახის შეხვედრებს სოფლებსა და დაბებში, ზოგჯერ სხვა ორგანიზაციებთან ერთად. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში გვყავს პარტნიორი, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა მიმღები ცენტრი. მახსოვს, რომ ერთ-ერთ შეხვედრაზე ერთმა ქალბატონმა საკუთარ პრობლემებზე ღიად ისაუბრა და საჭირო დახმარებაც მიიღო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლი არა მხოლოდ ქალები, არამედ ბავშვები და მოხუცებიც არიან.

ყველაზე ხშირად ოჯახური ძალადობის როგორი სახის ფაქტებს ხვდებით?

რაც შეეხება ბავშვებზე ძალადობას, ვითარება უფრო დაიძაბა იმ კონფლიქტის შემდეგ, რაშიც საქართველო აღმოჩნდა, რის შედეგადაც უამრავი ლტოლვილი გაუსაძლის პირობებში მოექცა. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, უპერსპექტივო მომავალმა მშობლები მეტად ნერვიულები გახადა; ამ გარემოების გამო, იმატა ბავშვებზე ძალადობის ფაქტებმა თვით დედების მხრიდან.

ზოგადად, ოჯახური ძალადობა ხშირად დაკავშირებულია ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარებასთან, ასევე, აზარტულ თამაშებთან. სახელმწიფოს მიერ ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული, რის გამოც მრავალი პრობლემა იქმნება. არის შემთხვევები, როდესაც მამაკაცები ყველაფერს კარგავენ ტოტალიზატორში, ზოგჯერ იქამდეც მიდიან, რომ საკუთარ ოჯახს სახლსაც უყიდიან.

ეს სერიოზული პრობლემაა და ძალზე მაწუხებს; ვცდილობთ, როგორმე შევამსუბუქოთ მდგომარეობა და ისეთ ორგანიზაციებთან ერთად ვთანამშრომლობთ, რომლებიც ადრე ანგარიშს არ უწევდნენ ამას...

ჩვენი ბაქოელი კორესპონდენტი არზუ გეიბულაყეევა გვიამბობს, რომ მაშინაც კი, როდესაც ქალი პოლიციაში ამხელს ძალადობის ფაქტს, ხშირად ამას სამართალდამცავი ორგანოები სერიოზულად არ ეკიდებიან და, საბოლოოდ, მაინც მსხვერპლია დამცირებული. როგორ რეაგირებს პოლიცია საქართველოში ოჯახური ძალადობის ფაქტებზე?

ამგვარ ფაქტებს შეიძლება ყველგან შევხვდეთ, ჯერ კიდევ გვესმის: „თუ სცემს, ესე იგი, იმსახურებს“. საბედნიეროდ, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წყალობით, რომლებიც პირდაპირ თანამშრომლობენ პოლიციის აგენტებთან, განსხვავებულად ეკიდებიან ამ სახის პრობლემებს. მათ იციან შესაბამისი კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ და ასევე უწყიან თავიანთი მოვალეობები.

ამდენად, ვფიქრობ, შესამჩნევია პოზიტიური ცვლილებები პოლიციელთა მოქმედებაშიც. მიუხედავად ამისა, აქა-იქ კვლავაც ვხვდებით პრობლემურ შემთხვევებს...

UNICEF: მოზარდები, ბავშვობის ასაკი

Unicef-ის 2011 წლის საანგარიშო მოხსენებაში ძირეულად არის განხილული ის პრობლემები, რომლებიც 10-19 წლის ასაკის მოზარდებსა და ახალგაზრდებს შეეხება, მასში ასევე გაისმის მოწოდება ქვეყნის მთავრობათა მიმართ, რათა მათ მოზარდებისათვის ადექვატური სოციალურ-პოლიტიკური პროგრამები გაატარონ.

ისინი უკვე აღარ არიან ბავშვები, თუმცა არც „დიდები“ ეთქმით: სწრაფი ტემპით ცხოვრობენ, უფაქიზეს და წინაღობებით სავსე პერიოდს გადიან. მთელ მსოფლიოში მოზარდები (10-19 წლისანი) შეადგენენ 1 მილიარდ 200 მილიონს, მათი უმრავლესობა განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს. სწორედ მათ ეხება Unisef-ის 2011 წლის მოხსენება. როგორც Unicef-ის გენერალური მდივანი, ამერიკელი ა. ლეიკი აცხადებს, ამ თემით იმიტომ დაინტერესდა, რომ „არის საშიშროება, რომ უკვალოდ ჩაიაროს იმ წარმატებებმა, რაც მიღწეულ იქნა 0-დან 10 წლის ასაკის ბავშვთა შორის“. სწორედაც რომ ასეა. ისინი იმიტომ დაიბადნენ, რომ მათი დედები დაღუპვას გადაურჩნენ; იმიტომ გაიზარდნენ, რომ ცდილობდნენ, არ მოეკლოთ მათთვის საკვები, ემკურნალათ, გაეკეთებინათ აცრები, მიეცათ განათლება.

შიმშილი: წელიწადში 3 მილიონი დაღუპული

ბავშვების დაღუპვა პნევმონიით თუ დიზინტერიით ცუდი კვებითაა გამოწვეული, რაც ბავშვთა სიკვდილიანობის უპირველესი მიზეზია. ყოველწლიურად მსოფლიოში ხუთ წლამდე ასაკის 8,8 მილიონი ბავშვი იღუპება; აქედან ყოველი მესამე კი – ცუდი ან არასკმარისი კვების გამო. ეს შემაძრწუნებელი ფაქტია. შემთხვევითი როდია, რომ ათასწლეულის განვითარების პროგრამა მთავრობებს პირველად მიზნად უსახავს, 2015 წლამდე გაანახევრონ მოშიმშილეთა რაოდენობა და 50%-ით შეამცირონ მოშიმშილე ბავშვების რიცხვი. ეს პრობლემა დგას 117 ქვეყნის წინაშე. როგორც შედეგები აჩვენებს, მათგან 63 სწორ გზას დაადგა.

სკოლა – აი, ვისთვის არ გაისმის ეს მოწოდება

პლანეტის სხვადასხვა კუთხეში ჯერაც უამრავი ბავშვი და მოზარდია, რომლებიც ადექვატურ განათლებას ვერ იღებენ. „სამოცდაცხრა მილიონი ბავშვი არ დადის დაწყებით სკოლაში და სამოცდათერთმეტი მილიონი მოზარდი საშუალო სკოლაში“, – ნათქვამია Unicef-ის 2011 წლის საანგარიშო მოხსენებაში: „ეს ფენომენი ყველაზე მეტად მოიცავს საჰარის მიმდებარე აფრიკულ ქვეყნებს“. მიზეზები უნდა ვეძებოთ უკიდურეს სიღარიბეში, „ცოდნის“ დაუფასებლობაში და დისკრიმინაციაში, რომელსაც გარკვეულ ზონაში განიცდიან ბავშვები და მოზარდები; გლობალური ეკონომიკა კი უფრო მეტად ითხოვს ცოდნის მაღალ დონეს.

ძირს იარაღი, პატარავ! ბავშვი – ჯარისკაცი

„კონფლიქტი ის ძალადობრივი სიტუაციაა, რომელიც აშკარა და პირდაპირ დარტყმას აყენებს ყველა მოზარდს“, – ნათქვამია მოხსენებაში. „ამ ასაკს თან სდევს დიდი საშიშროება: სამხედრო დაჯგუფებები მოზარდებს აიძულებენ ჯარში წასვლას, იარაღის ტარებას და ომის საშინელებებში მონაწილეობას, ან სულაც მონებად აქცევენ მათ“. 2007 წლის ბოლოს, ბავშვები და მოზარდები მსოფლიოს 17 კონფლიქტში და სამოქალაქო ომში მონაწილეობდნენ.



სხვები თამაშობენ, ის კი მუშაობს

კიდევ ერთი სტიგმა, რასაც ჰქვია მცირეწლოვანთა ტრეფიკინგი. ყველას მოეხსენება, თუ რაოდენ გავრცელებულია იგი: 5-დან 14 წლამდე ასაკის დაახლოებით ას ორმოცდათი მილიონი ბავშვი დღესდღეობით სხვადასხვა სახის მძიმე შრომას ეწევა. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, სამუშაოს მაინც ვერ შოულობენ: უმუშევრობა ემუქრება მათაც, რომლებმაც საშუალო და პროფესიული სკოლები დაამთავრეს და თითქოს ყველაფერი წესრიგში აქვთ, რომ თავიანთი შრომით ირჩინონ თავი. Unicef-ის 2011 წლის საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საყურადღებო მონაცემები, სადაც დასაბუთებულია, თუ როგორ გაიზარდა ეკონომიკური კრიზისის ფონზე უმუშევარ ახალგაზრდათა რიგები. ოთხმოცდაერთი მილიონი ახალგაზრდა სამუშაო ადგილის ძიებაშია. ეს რიცხვი შეიძლება წლევანდელი წლიდან შემცირდეს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის დროებითი, ნაკლებ ანაზღაურებადი, ან არალეგალური სამუშოების ზრდას.

სექსუალობა და პასუხისმგებლობა

ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა: განვითარებად ქვეყნებში ჩატარებული უახლესი კვლევები (მათ შორის, ჩინეთში) აჩვენებენ, რომ ქალების 11 % -ს და მამაკაცების 6% -ს 15 წლამდე ჰქონიათ სქესობრივი გამოცდილება. გოგონებს შორის მაღალი მაჩვენებელია ლათინურ ამერიკასა და კარიბებში, სულ 22%. სწორი სქესობრივი აღზრდის არარსებობის

გამო, მაღალია ნაადრევი ორსულობის რიცხვი, ასევე, დიდია რისკი სქესობრივად გადამდები დაავადებების, პირველ რიგში კი, შიდსის ვირუსის, გავრცელებისა. ყოველ შემთხვევაში, ნაადრევ დედობას დიდი რისკი სდევს თან მშობიარობის მომენტში, როგორც დედების, ასევე ახალშობილებისათვის.

Unicef -ი ცდილობს, არ მიატოვოს ისინი მაშინ, როდესაც თავიანთი ცხოვრების მეორე ეტაპზე გადადიან, ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის გადებულ ხიდზე, რასაც მრავალი მხრიდან ემუქრება შემოტევები, თუმცა დიდია შანსებიც, რომ ეს დრო სასიკეთოდ იქნას გამოყენებული. ყოველ წუთში, მსოფლიოში ერთი ბიჭუნა მაინც ანებებს თავს სწავლას; ცდილობს, გაექცეს სამხედროებს, რომლებიც მის ჩათრევას ლამობენ, განსაკუთრებით აფრიკაში; თვრამეტი წლის მოზარდი აზიაში ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა, ლათინურ ამერიკაში კი მცირეწლოვანი გოგონა შიშით ელის იმ დღეს, როდესაც მისი შვილი ქვეყანას უნდა მოევლინოს.

მართალი რომ ვთქვა, ამ მოხსენებით გაოცებული დავრჩი, რადგან მასში არაფერი იყო ნათქვამი სექსუალურ ძალადობაზე, რაც ასე ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. თუკი მხოლოდ იტალიაში, პედოფილიის მსხვერპლთა რიცხვი ყოველ წელს დაახლოებით ოცდაერთი ათასია, 64% კი სწორედ 11-18 წლის მოზარდებზე მოდის, როგორი ვითარება იქნება სხვა ქვეყანაში? სექსუალური ძალადობის ფაქტები ძირითადად 13-15 წლის ასაკზე მოდის; ერთ მაგალითს მოვიყვან: პატაიაში, ტაილანდის ერთ-ერთ სანაპიროზე, რომელიც დღეს „ცოცხალი ხორცის“ მომხმარებელთა საყვარელ ადგილად ითვლება, გზის გასწვრივ, აფრიკელი და ევროპელი ლამაზმანების გვერდით, ჩამორჩენილი ქვეყნებიდან ჩამოსულ გოგონებსა და ბიჭებსაც შეხვდებით. აქ მილიონ-ნახევარი ადგილობრივი მაცხოვრებელია, ხოლო შვიდი მილიონი – ტურისტი. სამას ორმოცდაათი ათასი მოზარდი კი „იყიდება“! ტაილანდი, კამბოჯა, ლაოსი, ბირმა... მთელი ინდოჩინეთი ერთ დიდ საბითუმო სუპერმარკეტად იქცა! საინტერესოა, რატომ არაფერს ამბობს Unicef-ის საანგარიშო მოხსენება ამაზე?

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

მოსიმსიმე ვაჩრსკვლავები

სამწუხაროდ, ბოლო წლებში მკვეთრად მატულობს აბორტების რიცხვი. მაგალითისათვის: 2010 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში 15305 აბორტია დაფიქსირებული. აბორტების ყველაზე დიდი რიცხვი დაფიქსირდა 20-29 ასაკის მქონე ქალებში, სულ 7535 შემთხვევა. 10 აბორტია დაფიქსირებული 15 წლამდე ასაკის გოგონებში. 15-19 წლამდე – 1087 შემთხვევა; 30-39 წლამდე – 5620 და 40-44 წლამდე – 982 შემთხვევა.

და ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით! არადა, თითქოს ყველამ ვიცით, რომ აბორტი საშინელი ცოდვაა!!! გინდა, თავი დაიღუპო, დაარღვიო მცნება: “არა კაც ჰკლა“? – ეს შენი ნებაა, მაგრამ შენი თავისუფალი ნება ხომ იქ მთავრდება, სადაც იწყება მეორე პიროვნების უფლება?! თუნდაც მას ჯერ არ შეეძლოს თავდაცვა! ამასთან, თქვენ ხელს აწერთ ხანგრძლივ ტანჯვას, რომელსაც პოსტაბორტული სინდრომი ჰქვია.

მინდა, მოგაწოდოთ ერთი ლექსი, რომელიც აბორტგადატანილმა ქალმა დაწერა:

ერთი დღის შემდეგ

ბავშვები,
საიდან ამდენი ბავშვები?
საითაც გავიხედე,
ყველგან ბავშვებია!
ორსული ქალები, დედები, შვილები.
ამდენი ჩვილი
აქამდე არასდროს მინახავს.
ყველაფერი იმას მახსენებს,
რაც გუშინ მოხდა;
ცუდი რჩევა მომცეს!
დღეს ეს უკვე ვიცი!
ექიმები უცნაური ხალხია!
“შვილი გინდათ?“
“არ უნდა გაჩნდეს“!
“მხოლოდ მცირე
სამედიცინო ჩარევაა!“

ამ ქალბატონმა აბორტის შემდგომი სულიერი მდგომარეობა ლექსში გამოხატა და გვიამბო აბორტის შედეგებზე და მის მიერ გამოწვეულ განცდებზე, მაგრამ რამდენი ქალი იტანჯება ჩუმად?! აბორტი უკანასკნელი “ცხელი წერტილია“, – სწორედ ეს სიტყვა თუ გამოხატავს აბორტის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებას.

მრავალ მწვავე სოციალურ საკითხთა შორის, როგორებიცაა: ანტისემიტიზმი, ლოთობა, უსახლკარობა, ნარკომანია, სიკვდილით დასჯა, პორნოგრაფია... აბორტი უპირველესი ბოროტებაა. აბორტის გამო მილიონობით ქალი თუ კაცი, საერო თუ სასულიერო პირი განიცდის სინდისის ქენჯნას.

თუმცა, მე სამ რამეს გაუწყებთ:

– პირველი და სასიამოვნო უწყება ისაა, რომ ღმერთს თქვენ უყვარხართ. მისი სურვილია, მოგიტევოთ ყველა შეცდომა და თქვენს მიერ უხეიროდ გადადგმული ნაბიჯი;

– ცუდი კი ისაა, რომ ჩვენ, ყველანი, ვეწინააღმდეგებით ღმრთის ნებას მრავალგვარი საშუალებებით, დაცემული ზნეობით, რომელთაგან აბორტი ერთ-ერთია “...რადგან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას“ (რომ. 3, 23);

– და მესამე უწყება: სამშვიდობო აქციაში მონაწილეობით, თქვენ საშუალება გეძლევათ, დააფიქსიროთ თქვენი მხარდაჭერა ჯერარშობილი ბავშვებისადმი. აქცია, სახელწოდებით – “40 დღე სიცოცხლისათვის“, მიმდინარეობს 9 მარტიდან 17 აპრილამდე, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ. პარალელურად, ეს აქცია მსოფლიოს ცხრა ქვეყანაში მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ 2004-2010 წლებში აქცია ექვსი ქვეყნის დაახლოებით 337 ქალაქში გაიმართა და დადებითი შედეგიც მოიტანა:

– 3592 ბავშვი გადაურჩა აბორტით სიკვდილს. ეს მხოლოდ ის რიცხვია, რაც ჩვენთვის გახდა ცნობილი;

– ასობით ქალბატონი და მამაკაცი გათავისუფლდა აბორტის შემდგომი ტკივილისა და სტრესისგან;

– ორმოცდასამმა აბორტმახერმა სამსახურს თავი დაანება;

– რვა სამეანო დაწესებულებამ, სადაც აბორტები კეთდებოდა, შეწყვიტა თავისი საქმიანობა;

– 13000-ზე მეტი ეკლესია გაერთიანდა და აქტიურად ჩაერთო სიცოცხლის სამსახურში.

დასასრულს, მინდა გავიხსენო ერთი ჩემი ნაცნობის სიტყვები: ასე მგონია, რომ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავები აბორტის შედეგად დაღუპული ბავშვები არიან. ისინი ზემოდან დაგვნათიან და მე ვლოცულობ მათთვის!

თამარ თელიაშვილი

საარქივო მასალები

რუსეთთან დაკავშირების ერთ-ერთ მიზეზად მეფე გიორგიმ ქრისტიანობის დაცემა დაასახელა საქართველოში, ხოლო ოსმალ-სპარსთა ძალით ლამის გაუქმდესო. მეფის თანამოაზრედ აღმოჩნდნენ მრავალნი, განსაკუთრებით სამღვდელონი. ბევრი ამბობდა „გიხაროდეს ქვეყანავ, რათა გიხილა ქრისტიანმა ერმაო, ეხლა კი იღაღადებს ხმა ქრისტესი, ხმა ეკლესიისა“. მრავალს აღუსრულდა ნატვრა. საქართველო ჩაბარდა რუსეთს. ეს სასიხარულო იყო განსაკუთრებით გლეხთათვის, რადგან მათ სული აღარ ჰქონდათ პირში შერჩენილი დიდ თავადთაგან და ამიტომ ესენი ღმერთს ევედრებოდნენ მალე რუსთა მოსვლას, თორემ ჩვენს შვილებს ჩვენი მებატონენი მთლად ოსმალ-სპარსეთში დაჰყიდიანო.

პ. იოსელიანს მოჰყავს შემდეგი სიტყვა პატრი ნიკოლასაგან წარმოთქმული:

„დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქნება დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყნისა მოყვანილი შექმნის ერსა მტერად და მდევნელად, მამა-შვილური მთავრობა მეფეთა, გადაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა. რუსნი შემოიტანენ პირველად მძიმე უღელსა და დასდებენ ქვეყნისა კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარჯთა, რომელთაც თქვენ ვერ შესძლებთ“.

სამეფოს აღრევათა დაწყნარების შემდეგ პატრი ნიკოლა დარჩა განმარტოებული, მისი გულითადი მეგობარნი ლტოლვილ იქმნენ სპარსეთში, ოსმალეთს და იმერეთის სამეფოში. პატრი ნიკოლა რომში იქნა მიხმობილი, ეს მალე წავიდა, იქ დაჰყო რამდენიმე ხანი და 1801 წლის ნახევარს საქართველოში დაბრუნდა. მიზეზი რომში მიხმობის უცნობია. საქართველოში დაბრუნებული პატრი ნიკოლა ხანდისხან თავის მეგობრებს წერილებს უგზავნიდა და ატყობინებდა საქართველოს ამბებს. იმ დროის მთავრობისაგან ბრძანება იქმნა, რომ გარეშე ქვეყნებში გაგზავნილ და მიღებულ წერილებს ყურადღება უნდა მიექცესო. ეს განკარგულება მალე აღსრულდა. ეჭვი მიიტანეს პატრ ნიკოლაზე წერილების წერის გამო. ვითომ იგი სწერდა წერილებს საათაბაგოს ფაშებს, სოლომონ იმერთა მეფეს, ალექსანდრე ბატონიშვილს და სხვებს, სავნოდ ახალი მთავრობისათვის. ამ ეჭვს დაერთო ქართველების და სომხების ჩივილიც, ქართველთ იჩივლეს, რომ პატრებმა გააფრანგეს ანტონ კათალიკოსი, მათ მიიზიდეს კინაღამ მეფე ერეკლეც და ამიტომ ღირსნი არიან განდევნისაო. სომხები ჩიოდნენ, რომ პატრები სომხებს აფრანგებენ და შფოთს თესავენ ამითო. საჩივრებს ყურადღება მიექცა და 1801 წელს 22 ნოემბერს მინისტრის ბრძანებით თბილისიდან გაძევებული იქნა პატრი ნიკოლა, როგორც მოწინავე პირი და თაოსანი ყველა საქმეებისაო. პატრმა გამოძიება დაანიშვნინა და თავი იმართლა, იგი დარჩა საქართველოში და დაიწყო კათოლიკის ეკლესიის მართვა, მრევლის მოვლა. რამდენიმე ხნის შემდეგ მან მინისტრს ნებართვა სთხოვა იმერეთში წასვლის, რადგან იქ მამულები მაქვს და ღალა უნდა მოვკრიბოო. ნება მისცეს და 1802 წელს, ზაფხულში, პატრი ნიკოლა იმერეთში იყო. იმერეთის მეფემ დიდი პატივით მიიღო. პატრი იმერეთში კარგა ხანს დარჩა, საექიმოდ აქა-იქ მიჰყავდათ, აღარ უშვებდნენ. თბილისში ამბები მოჰფინეს, რომ იქ რუსის მთავრობის წინააღმდეგ იბრძვისო, სოლომონ მეფეს ამაგრებსო. პატრმა ფილიპემ ეს ამბავი მალე აცნობა პატრ ნიკოლას და 1802 წლის ბოლომდე ნიკოლა უკვე თბილისში იყო, მთავრობის წინაშე თავი იმართლა. დარჩა თბილისში და გააგრძელა მსახურება. 1803 წლის დასაწყისში იგი განდევნილი იქნა ქართლიდან სამუდამოდ, თუ არ წავიდოდა მაშინ დაუპატიმრებდნენ. მოემზადა და მალე გადავიდა იმერეთში, შეეხიზნა მეფე სოლომონს, მიიღო მონაწილეობა სოლომონ ლეონიძის დასში და დაიწყო მოქმედება.

პატრმა იმერეთში დიდი მხნეობა გამოიჩინა, ხალხს უფასოდ სწამლობდა და სახელმწიფო საქმეებშიც მეტად ჭკვიანად იქცეოდა, მეფეს დარიგებას აძლევდა. ამ დროს მეფის წინააღმდეგნი იყვნენ გურიის და ოდიშის მთავრები. პატრი ნიკოლა აუწყებდა მეფე სოლომონს: რომ რისხვა დაეცი მათ და ერთ სამთავროდ გამოაცხადე მთელი სამეფოო. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე კარგად არ წაგივა მთავრები გღალატობენო. მეფემ უძლურება აუწყა თავის თავისა, რომ მე მთავრებს ვერ მოვერევიო. რამდენიმე ხნის შემდეგ ოდიშის მთავარი დადიანი გარდაიცვალა. ამ დროს პატრი ნიკოლა იმერეთის მეფის კარზე იყო. მთავარმართებელმა ციციანოვმა დაიბარა პატრი ფილიპე და პატრ ნიკოლას აბრალებდა დადიანის მოწამვლას, თან დასძინა: რომ დაიბარეთ პატრი ნიკოლა ახლავე აქ ჩამოვიდესო! პატრმა ფილიპემ უპასუხა – „ჩვენ ვერ ვიზამთ ამას! ის ჩვენს ბრძანებას არ შეისმენს და უცხო სახელმწიფოს მოხელენიც არ აღასრულებენ ჩვენს თხოვნას“. ციციანოვმა უპასუხა, რომ ჩვენ მას ტუსაღის ტანსაცმლით მოვიყვანთ აქაო და ეს არც თქვენთვის უნდა იყოს კარგიო. პატრმა ფილიპემ უპასუხა: – „ეგ მეტად სამწუხარო იქნება, მაგრამ ჩვენ არა გვჯერა, რომ პატრმა ნიკოლამ ცუდი საქმე გააკეთაო“.

წიგნიდან, პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი
მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში.
ავტორი ზაქარია ჭიჭინაძე.
თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა
(მოამზადა გია როსტომაშვილმა)

ჭამა ცხოვრებისთვის თუ ცხოვრება ჭამისთვის?

ნაყროვანების მანკიერება

საკვებ პროდუქტებზე ფასების მატება საგანგაშო ზღვარს უახლოვდება და მას შეიძლება მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ძვრებიც მოჰყვეს, – ასეთი განცხადება გააკეთა მსოფლიო ბანკმა ოცი ქვეყნის ლიდერთა შეხვედრაზე პარიზში (ა.წ.თებერვალს). ვაშინგტონის ინსტიტუტის პრეზიდენტმა, რობერტ ზელიკმა მსოფლიო ლიდერებს მოსთხოვა, რომ 2011 წლის პრიორიტეტად მიეღოთ კვების ყოვლად გადაუდებელი საკითხი. ახლახანს ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მსოფლიო ბანკმა ნათელი მოჰფინა იმ ფაქტს, რომ საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდის ტენდენციამ, ბოლო ხანებში, განვითარებადი ქვეყნის ორმოცდაოთხი მილიონი ადამიანი სიღატაკეში ჩააგდო... სიტუაცია განსაკუთრებით კრიტიკულია ჩინეთში. მსოფლიოს 22 ქვეყანაში შიმშილობა ჩვეულებრივი მოვლენაა და მას გაეროს ამ სექტორის სააგენტოები გრძელვადიან კრიზისად განსაზღვრავენ. ეს მოსაზრება გამოხატულია *State of Food Insecurity in the World* 2011 წლის საანგარიშო მოხსენებაში. ამ ქვეყნებში ას სამოცდაექვსი მილიონი ადამიანი შიმშილობს, ანუ დამშეულ ადამიანთა რიცხვი მსოფლიო მოსახლეობის მეხუთედზე მეტია. მთლიანობაში ეს მაჩვენებელი მესამედამდე დადის, თუკი ხსენებული ქვეყნების რიცხვს ჩინეთსა და ინდოეთს გამოვაკლებთ, სადაც უკანასკნელ ხანებში ამ მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა. ... სამაგიეროდ, სხვა ქვეყნებში ვითარება გაუარესდა. *World Food Programm* –ის მიერ მოწოდებული მონაცემებით, პლანეტაზე საკმარისი საკვებია მთელი მსოფლიო მოსახლეობის გამოსაკვებად. თუმცა, ყოველი მეშვიდე ადამიანი შიმშილობს.

მართალია, დამშეულთა რიცხვი ოთხმოცდათვრამეტი მილიონით შემცირდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ: „შიმშილობა მაინც რჩება მსოფლიო ტრაგედიად, რადგან, ყოველ ექვს წუთში, მწირი საკვების გამო, ერთი ბავშვი მაინც იღუპება“. ყოველდღე შიმშილით იღუპება ოცდაოთხი ათასი ადამიანი, აქედან სამი მეოთხედი ხუთ წლამდე ასაკის ბავშვია; მაშინ, როცა ევროპაში 11 მილიარდ ევროს ხარჯავენ მარტო ნაყინში, ხოლო ევროპასა და ამერიკაში კი – შინაურ ცხოველებზე 17 მილიარდ ევროს.

პარადოქსია, მაგრამ მრავალი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რესურსები მდიდარი ქვეყნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხმარდება. აშკარაა, რომ პრობლემა მდგომარეობს არა პროდუქტის წარმოებაში, არამედ მის განაწილებაში, ანუ საკვების სამართლიანი გზით გადანაწილების კეთილ ნებაში.

უნებურად ჩნდება კითხვა: მე რისი გაკეთება შემიძლია, ან რა კავშირი მაქვს ამ პრობლემასთან? მათ, ვინც ფიქრობს, რომ ჭამა წარმოადგენს სიცოცხლით ტკბობის საამურ ფორმას, და მათ, ვინც მარხულობს, ვთავაზობთ მოსაზრებას **ნაყროვანების** მანკიერებაზე, კათოლიკური სწავლების მიხედვით, ერთ-ერთ ძირითად ცოდვაზე (*იხ. კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო, ნაწილი III, ქრისტეს მიერ ცხოვრება*), რათა კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ცხოვრების მიზანზე, და ასევე, მარხვის ნამდვილ არსზე, რათა იგი მხოლოდ ჩვევად არ გადაიქცეს, ან, ღმერთმა დაგვიფაროს, და ხიბლში ჩავარდნის საბაბად, რაც ოდესღაც დაემართა ტაძარში მლოცველ ფარისეველს, რომელიც იქადნიდა: „კვირაში ორჯერ ვმარხულობ“-ო (ლუკ. 18,12).

რატომ არის ნაყროვანება მანკიერება?

ჭამა ადამიანის პირველადი მოთხოვნილებაა, საკვების გემოვნებით შერჩევა კი, ერთგვარი კულტურა. საკმარისია დავფიქრდეთ, რომ არსებობს საკვები, რასაც ოდნავ მაინც შეუძლია ჩვენთვის სიამოვნების მონიჭება, მაგალითად, შოკოლადს, სხვადასხვა ტკბილეულს, მაშინვე ცდუნება გვიპყრობს... რა შეიძლება ითქვას ნაყროვანების მანკიერებაზე, რომელიც თავისი მსოფლიო მასშტაბებით გლობალური სიმსუქნის (ანუ, როგორც მას უწოდებენ, *globesity*) მიზეზია და მას ჭარბწონიანობის, ბულემიის, ანორექსიის ეპიდემიად მოიხსენებენ? ერთი მხრივ, ეს გამოწვეულია მაკდონალდსის პროდუქციის, და მეორე მხრივ, უვნებელი, ბიოლოგიური საკვების გადაჭარბებული მოხმარებით. განვითარებულ ქვეყნებში ყველა დიეტაზეა, გარდა ღარიბებისა. რთულია იმ ზღვარის დადგენა, რაც დაშვება-აკრძალვას შორისაა,... მაგრამ არის თუ არა ნაყროვანება ცოდვა, ან დაავადება? ნებაყოფლობითი მანკიერება, ან გენეტიკური განნყობა, როგორც დღეს ექიმები ან დიეტოლოგები აცხადებენ? სამწუხაროდ, უმრავლესობა გულგრილად ეკიდება ამ პრობლემას, მაგრამ როდესაც ყოვლად საჭირო „სინდისის გამოცდას“ ვატარებთ, ვხედავთ მძიმე და დრამატულ შედეგებს. ნაყროვანება ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ცოდვაა. იგი უშუალოდ ეხება მის ფიზიკურ მხარეს; ეს მანკიერება ყველაზე აღქმადი ასპექტია, ხილულია, რადგან სხეულთანაა დაკავშირებული და არა სულთან. ის გამოწვეულია უზომო ჭამა-სმით და მისგან მონიჭებული სიამოვნებით.

ნაყროვანების ცოდვა განისაზღვრება ასევე ხარისხით, როდესაც ადამიანები ისეთ რაფინირებულ სამზარეულოს, ძვირადღირებულ და იშვიათ საკვებს ეძებენ, რაც მათ სოციალურ პირობებს აღემატება; მსუნაგობით, საკვების მიღებისგან თავშეუკავებლობით (იგივე ითქმის ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხ-

მარებაზეც). გემოთმოყვარეობა, შეიძლება ითქვას, სხეულის დასაოკებელი სიამოვნებაა, მატერიალური კუთხით (ჭამა, მოწევა, ნარკოტიკის მოხმარება და ნუგბარის უზომოდ მირთმევა), მაგრამ ის წუთიერად და მყისიერად აკმაყოფილებს სხეულს, შედეგებზე ანგარიშგაუწევლად: სმა იწვევს ცეროზს, ტკბილეული – დიაბეტს, ნარკოტიკი – მრავალ დაავადებას, მოწევა ფილტვებსა და ბრონქებს ანადგურებს. ყველაფერ ამას, ცხადია, სიცოცხლით ტკბობას ვერ ვუწოდებთ. მთელი ამ პრობლემის თავი და თავი არის ის, რომ ადამიანი ყურს უგდებს არა გონივრულ ლოგიკას, არამედ საკუთარი სხეულის კარნახს, მით უფრო დღეს, როდესაც საზოგადოება მიდრეკილია კონსუმერიზმისკენ. ჭამა-სმას გადაყოლილი ადამიანი ვერ დატკბება სიცოცხლით, რადგან, რეალურად, ნაყროვანება არყევს ჯანმრთელობას, სერიოზულ საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, რომელიც უინტერესო და პასიური ხდება, ადამიანს იპყრობს გაუმაძღრობის დამანგრეველი ძალა, მას უკვე აღარ შეუძლია ზომიერების გამოჩენა და ზღვარის დადგენა, ანუ როგორც იტყვიან, „მახვილზე უფრო მეტად კუჭი კლავს“; ეს არის მიზეზი იმისა, რის გამოც ამბობენ, რომ ნაყროვანება ყველა დანარჩენი მანკიერების სათავეა; განსაკუთრებით მკაფიოდ არის ხაზგასმული მისი მჭირდო კავშირი ვნებათმოყვარეობასთან, რადგან არსებობს სიღრმისეული მსგავსება მადასა და სექსუალობას შორის. ინგლისელი პოეტი ჯ. ჩოსერი (1343-1400) თავის „კენტერბერიულ მოთხრობებში“ წერს: „ვინც გემოთმოყვარეობის ცოდვას ეჩვევა, ის ვერანაირ სხვა ცოდვას ვერ გაუმკლავდება: იგი იძულებულია, ყველა დანარჩენი მანკიერების მონა გახდეს, რადგანაც ეს არის ბუნაგი, სადაც დემონი იმალება“. თვით ეკლესიის მამებიც მიანიშნებდნენ იმ მჭიდრო კავშირზე, რაც არსებობს ნაყროვანებას, სულიერ გამოფიტვასა და წეს-ჩვეულებების დავიწყებას შორის, იხსნებდნენ სხვადასხვა ბიბლიურ ეპიზოდებს, მოყოლებული აკრძალული ხილის გასინჯვის სურვილით ცდუნებული ადამიდან და ევადან, მთვრალ ნოემდე და ლოტამდე, რომელმაც, სიმთვრალის გამო, საკუთარ ქალიშვილებთან დაამყარა კავშირი, ესავამდე, რომელმაც, ოსპის შეჭამანდის ფასად, გაყიდა პირმშოობა...

თვით მარკიზ დე სადიც თავის რომანებში აღნიშნავს, რომ გარყვნილები, ცოცხლად რომ შეინარჩუნონ თავიანთი ოცნება, ხარბად უნდა გადაეშვან უზომო ჭამა-სმის მორევში. გემოთმოყვარეობას უფრო აძლიერებს ის ეფექტურობა, რაც საკვებშია ჩადებული: თვალისთვის საამო. ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმული მაგიდის წინაშე ისევე უძლურია ადამიანი, როგორც ძუნწი ფულის, ხოლო ავხორცი – ვნებიანი გართობების წინაშე. ტყუილად როდი აკეთებს აქცენტს თანამედროვე სარეკლამო საქმიანობა ამ ეფექტურ მხარეზე და საკვებ პროდუქტებს ლამაზად გაფორმებულს წარმოგვიდგენს.... ჭამა-სმა, ცხადია, საკუთარ თავზე ზრუნვის ერთგვარი ფორმაა, მაგრამ როდესაც იგი მანკიერებაში გადადის, აკვიატებულ მანიად იქცევა იმაზე ფიქრი, რისი ჭამა შეიძლება, ან რისი არა (დიეტები ამ რისკიდან არ გამოირიცხება!).

ნაყროვანების ფსიქოლოგიური და აფექტური ასპექტები

ნაყროვანების სენით შეპყრობილი ადამიანი ცხოვრებას ავადმყოფურად და დამახინჯებულად აღიქვამს. პეტერ დე ვრიესის აზრით, ნაყროვანება ქმნის დისკომფორტს: შინაგანად რაღაც იმსხვრევა. თანამედროვე გემოთმოყვარენი რამდენიმე მძიმე „პრობლემით“ იტანჯებიან, მათი თვითშეფასების უნარი დაბალია, აწუხებთ წარსულში განცდილი შეურაცხყოფა, ეუფლებათ უსასრულო სიცარიელის განცდა, რის შევსებასაც ცდილობენ მავნე და უსარგებლო საკვების ორგიაში ჩართვით. ამ ყველაფრის მთავარი მოტივაცია მდგომარეობს საკვებით გამოწვეული სიამოვნების მიღებაში; ამ შემთხვევაში ადამიანი განიცდის „შიმშილს“ არა საკვების არქონის გამო, არამედ იმიტომ, რომ მოკლებულია მეგობარს, ნუგეშს, სითბოს; სიხარბე მანკიერებად აქცევს ჭამას, ანუ არა ფიზიოლოგიურ, არამედ აფექტურ ელემენტად; ასე უსასრულოდ გროვდება ცარიელი კოლოფები და ნაგავი... ფსიქიატრები თავიანთ ნაშრომებში ადასტურებენ, რომ სიხარბე დაკავშირებულია ჭამასთან, როგორც კომპულსიურ ქცევასთან, ანუ ნაკლებად „ჰუმანურთან“, რომელიც პროცესში რთავს ძნელად კონტროლირებად მექანიზმს; ვლინდება კვებითი დისკომფორტი „ნერვიული ბულემიისა“ და „მენტალური ანორექსიის სახით“. საკვები იწვევს ბულემიას მიღების შემთხვევაში, მიუღებლობისას კი – ანორექსიას. გაუმაძღარი ადამიანი ხდება არაკომუნიკაბელური, განიცდის უკიდურეს მარტოობას, ისევე როგორც ალკოჰოლზე დამოკიდებული. ყველა ეს დისკომფორტი თითქმის ექსკლუზიურად ახასიათებს განვითარებულ ქვეყნებს, ცხოვრების მაღალ დონეს და ქალებს. არსებობს „ახალი“ დაავადებები, რითაც „შეპყრობილები“ არიან ახალგაზრდა, ლამაზი და განათლებული მდიდრები: სოციალური იზოლირება, ღრმა დეპრესია, ძლიერი და დაფარული აგრესია, რაც გარეგნულად ბულემიაში გამოიხატება, ანორექსია. თვით სარეკლამო მესიჯებიც კი, როდესაც გამხდარ ადამიანს სილამაზის, წარმატების, ცდუნების სინონიმად წარმოგვიდგენს,... მძლავრად ზემოქმედებენ, განსაკუთრებით მოზარდებზე და უღვიძებენ მათ საკუთარი სხეულის შეცვლის სურვილს. ვისაც ეს დაავადება შეიპყრობს, მისთვის, მკურნალობის დაწყებისას, ყველაზე დიდ სირთულეს სწორედ საკუთარი თავის, საკუთარი გრძნობების შეცნობა წარმოადგენს. მსუნაგ ადამიანს, უმრავლეს შემთხვევაში, არ შეუძლია თქვას, თუ რა სიამოვნებს: იგი ყველაფერს შეჭამდა, ოღონდაც დაკმაყოფილებულიყო (დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორი აუტანელია ეს ვითარება, როცა მსუნაგობა ალკოჰოლიზმთანაა დაკავშირებული). აქ კიდევ ერთი რამაა სევდის მომგვრელი, როდესაც ადამიანი მარტო სვამს და მარტო ჭამს. მარტო მჭამელი ადამიანი ბაგაში დაბმულ ცხოველს ჰგავს, ხოლო მარტო მსმელი – თვითმკვლელს. ხალხური სიბრძნე ამასთან დაკავშირებით ამბობს: ცხოველები იკვებებიან, ადამიანი ჭამს, ბრძენი კი სადილობს.

როგორ დავძლიოთ ნაყროვანების სენი?

1. ადვილი არაა იმის დადგენა, თუ რა არის საჭირო ჯანსაღი კვებისათვის, განსაკუთრებით დღევანდელ დღეს; ნაყროვანების მანკიერება იმ გარემოს ქმნის, რაშიც ფსიქოლოგიური ძიება და სულიერი მსჯელობა ერთმანეთს ეჯაჭვება და ღრმად იჭრება გონებასა და სულში; საუბარი არაა იმაზე, თუ რამდენი კალორიის შემცველი საკვები უნდა ვჭამოთ, ან არ ვჭამოთ, რამდენი კილოც არ უნდა დავიკლოთ, ყველა დიეტა მარცხით მთავრდება, ვიდრე არ არსებობს „სულიერი“ მოტივი, საგანთა სწორი პროპორცია: საკვები ხომ ის საშუალებაა, რითაც ფონს გავდივართ, რაც თავის გადარჩენასა და მნიშვნელოვან საქმეთა კეთებაში გვეხმარება; ჭამენ იმიტომ, რომ იცოცხლონ, და არ ცოცხლობენ იმიტომ, რომ ჭამონ; ნაყროვანების დაძლევა ნიშნავს იმ სიცარიელესთან შეჯახებას, რამაც იგი წარმოშვა. მრავალი ადამიანი საკვებს მაშინ ეძალება, როცა კი არ შია, არამედ როცა გაბრაზებულია, მარტოსულია, უიმედოდაა, ვერავინ უგებს... „არცთუ იშვიათად, ადამიანები თავს ისჯიან საკვებით, რადგანაც არ იციან, რომ უკეთესს იმსახურებენ“ (რ. გოტი). დანტემ თავის „ღვთაებრივ კომედიაში“ ღორმუცელები განსაწმენდელში (XXIII გალობა) მოათავსა, სადაც ისინი გემრიელი საკვებისკენ ილტვიან, მაგრამ ვერ წვდებიან, მათ მხოლოდ მისი დანახვა ძალუძთ. სასჯელის მიზანია განკურნება, რამდენადაც ისინი განსაწმენდელში იმყოფებიან; მოწოდება, რომ შეეგუონ საგანთა სწორ დანიშნულებას, გააცნობიერონ თავიანთი სიხარბე, გონება მიმართონ ჭეშმარიტი სიკეთისკენ. ეკლესიის მამები დაჟინებით ითხოვენ სულზე ზრუნვას, როგორც ძირითად საშუალებას ღორმუცელობის შესაფერხებლად: საჭიროა იმპულსური მრისხანების დაოკება, სევდისა და დეპრესიის დაძლევა, პატივმოყვარეობის დაგმობა, ღვთისადმი განუწყვეტელი ლოცვა (გ. გასიანო).

ფსიქოლოგი შიმელი წერს: „ხელახლა რომ აღვზარდო ჩემი პაციენტები, ვთხოვ, დაფიქრდნენ, რა უფრო მიანიჭებდა მათ სიამოვნებას, ცივი წყლით სავსე ჭიქა, რომელიც მათ გაუსაძლის წყურვილს დააოკებდა მცხუნვარე დღეს, თუ ... სავსე კუჭი... იმისათვის რომ ჩემს პაციენტებს გაუძლიერდეთ თვითკონტროლის უნარი, როდესაც მათ ის საკვები აცდუნებთ, რისი ჭამაც ეკრძალებათ, ვურჩევ, რომ დაფიქრდნენ იმ სიამოვნებაზე, რაც ჭამიდან რამდენიმე საათის შემდეგ დადგება, როდესაც ნამდვილად მოშივდებათ“. დღეს ისეთ პერიოდში ვცხოვრობთ, როცა გამუდმებით გვაქეზებენ, მოგვინოდებენ ყიდვისკენ, ჭამისკენ; ქუჩაში გავლისას, ყოველ ფეხისნაბიჯზე რესტორანს, ან ბარს ხვდები, სახლშიც ყოველ საათში აღებ მაცივრის კარს, საკუთარ ჯიბეს ყველანაირი სიკეთე შეგიძლია დასცინცლო. აუცილებელია გამოიმუშავო თვითკონტროლი, რომ დადგენილ დროს ჭამო, და არა მაშინ, როცა მოგინდება...

2. მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი, რაც საკვებს „სულიერებას“ მიანიჭებდა, არის კომუნიკაცია, რაც პიროვნების დამახასიათებელი თვისებაა; საკუთარი სიყვარულის, გამოცდილების გაზიარება სხვისთვის; ამ თვალსაზრისით, ჭამა მარტოობიდან გამოსავალია, რაშიც მრავალი ადამიანი იმყოფება; საკუთარი ულუფის განაწილება სხვისთვის სიხარბის დაძლევაში დაგვეხმარება. თუკი მუცელი ამოყორილია, მაშინ სიტყვებიც დამძიმებულია და საუბარი ხშირად ლაზღანდარობითა და შეურაცხყოფით სრულდება, ზოგჯერ კი, აბდაუბდა ლაპარაკით, როცა, მაგალითად, ადამიანი ან მთვრალია, ან უზომო ჭამისგან შეწუხებული და, დარეტიანებული, იარაღად ხელებს იყენებს, ღმერთს კი ნამდვილად არ სურს ცუდი დასასრული. რამდენჯერ დასრულებულა ლხენით დაწყებული ზეიმი გლოვით; ადამიანთა შორის ვერანაირად შედგება კომუნიკაცია წრეგადასული ჭამა-სმის პირობებში; მეორე დღეს მათ უკვე აღარაფერი ახსოვთ და მხოლოდ მობოდიშება უწევთ იმ ფაქტების გამო, რამაც სულ სხვა კუთხით წარმოაჩინა მათი პიროვნება.

3. ჭამის მომენტი უნდა გადაიქცეს ღირსშესანიშნავ, საზეიმო წუთებად, ზომიერებად. ხარბი ადამიანი, რომელიც მხოლოდ კუჭის ამოვსებაზე ფიქრობს, ვერასოდეს მიხვდება, რომ საკვები ღვთის წყალობაა, ასეთ ადამიანს არ შეუძლია მადლიერების გამოხატვა ღვთისადმი, ლოცვა საჭმლის მიღებამდე და ჭამის დასრულებისას; ღვთის დიდსულოვნებისადმი მადლიერება იქნებოდა, სწორად რომ გამოგვეყენებინა მისი წყალობა, ღვთისგან ბოძებული და საკუთარი შრომით მოპოვებული სხვებისთვისაც რომ გაგვეზიარებინა. ნაყროვანების მანკიერება იზრდება ღვთისადმი მადლიერების გრძნობის გაუჩინარების პარალელურად. იმ ოჯახებშიც კი, რომლებიც ცნობილია, როგორც „ქრისტიანთა“ ოჯახი, ბავშვები, მოზარდები და თვით ზრდასრული ადამიანები, თავიანთი კაპრიზის გამო, უარს ამბობენ საუკეთესო საჭმელზე და მათ ძაღლებს აჭმევენ, ან სანაგვეზე ყრიან; უკანასკნელი მონაცემებით, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში თითოეული ოჯახი ყოველწლიურად სანაგვეზე ყრის 515 ევროს ღირებულების პროდუქტს! 1974 წლიდან კი ეს რიცხვი მსოფლიოში 50%-ით გაიზარდა! პირველი მოწოდება, რაც შეიძლება ამ მხრივ გაისმას, არის: **ნუ ფლანგავთ**! ყველაფერი, რასაც მე ვფლანგავ, შეიძლება მეორე პიროვნების ცხოვრებას წაადგეს. ინდივიდუალური მანკიერება ფართო მასშტაბის ცოდვაში გადადის.

4. ნაყროვანების დაძლევაში ადამიანს შეიძლება დაეხმაროს ასევე კვების კულტურაც. საკვები ოდითგანვე მიიჩნეოდა კულტურის პროდუქტად: მას აწარმოებენ, ქმნიან, ამზადებენ, ირჩევენ, მოიხმარენ. დახვეწილი კერძის მომზადება სიმბოლურად ნიშნავს, გამოიყენო ბუნების ინგრედიენტები და გარდასახო ისინი კულტურად: გავიხსენოთ თუნდაც კერძის მომზადების მრავალფეროვნება; ოჯახში ერთად სადილობის მომენტები ცხოვრების ფუნდამენტურ ეტაპებზე – დაბადება, გარდაცვალება, ზეიმი: გავიხსენოთ თუნდაც საჭმლის მიღების დრო, ფორმები, გალანტური წესები; საკვებს ხომ საკრალური და სამკურნალო თვისებებიც გააჩნია; რამდენი ფიქრობს, რომ ამა თუ იმ საკვების მიღებით კარგად გრძნობს თავს, ან ძალა ემატება. ეს ნიშანდობლივია, და იგი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ჭამა ერთ-ერთი გამორჩეული მომენტია, როცა ერთმანეთს ხვდება ბუნება და კულტურა, რითაც ადამიანი განსხვავდება ცხოველისგან, თუნდაც გაწყობილი სუფრა, რაც მათ მსოფლმხედველობაზეც მეტყველებს. ეს სიმბოლური ხასიათი, რომელიც ჭამას ბუნებრივზე მეტად კულ-

ტურულ ელემენტად აქცევს, შეიძლება ამოვიკითხოთ ყველა უახლეს პუბლიკაციაში და სამზარეულოს ყველა რეცეპტში, რაც დღეს ასე უხვად და ასე მრავალფეროვნად მოგვეწოდება; უბედურება კი ისაა, რომ მრავალ ოჯახში ეს ერთადერთი წიგნია, რომელსაც კითხულობენ!

სუფრა სტუმართათვის: ერთ მცხობელს ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, გაეცნო ცნობილი პიროვნება *უვეისი*. ერთ დღესაც ეს უკანასკნელი მათხოვრის ტანსაცმელში გადაცმული მივიდა საცხობში. შეუდგა თუ არა პურის ჭამას, მცხობელმა მას ცემა დაუწყო და გარეთ გააგდო. „რა სიგიჟეა! – წამოიძახა შეგირდმა, რომელიც ის-ის იყო ოთახში შემოვიდა, – „ვერ ხედავ, რომ გარეთ ის ადამიანი გააგდე, რომლის გაცნობაც ასე გინდოდა?“ მაშინ მცხობელმა ინანა თავისი საქციელი, პატიება ითხოვა და უვეისს ჰკითხა, რაიმეს ხომ არ ისურვებდა. უვეისმა სთხოვა მას, რომ ის და მისი შეგირდები სადმე მიეწვია სადილად. მცხობელმა ისინი საუკეთესო რესტორანში წაიყვანა და ძვირფასი კერძები შეუკვეთა. „ასე განვასხვავებთ კარგ ადამიანს ცუდისგან, – უთხრა უვეისმა შეგირდებს შუა სადილზე, – ამ ადამიანს შეუძლია, ათი ოქროს მონეტა დახარჯოს ერთ სადილზე, რადგანაც მე ცნობილი კაცი ვარ, მაგრამ გროშსაც კი არ მისცემს მშიერ მათხოვარს“.

ნაყროვანება და ბიბლია

ცალკეული რელიგიები და წმიდა ტექსტები მითითებებს იძლევიან კვების შესახებ. ბიბლია პირველივე გვერდიდან შეახსენებს ადამიანს კვებასთან დაკავშირებულ ღირებულებებს: საკვები გვეძლევა ღვთის წყალობით და ის უნდა მოვიხმაროთ ზომიერად; შეახსენებს თვითგვემის აუცილებლობას და საკუთარ ნაკლოვანებათა წარმოჩენას, ხაზს უსვამს სიმბოლურ, აფექტურ და სულიერ ნიშანს. ზირაქის წიგნი, რომელიც ხარბ ადამიანზე გვესაუბრება, სუფრასთან ქცევის მთელ რიგ წესებს გვთავაზობს, და ზომიერებისკენ მოგვიწოდებს: „ვინც ზომიერად ჭამს, ტკბილად სძინავს, ადრე დგება და მასთანაა მისივე სული... ღვინოს ნუ მიეძალები, რადგანაც მას ბევრი დაუღუპავს“ (ზირ. 31, 20.25). თუკი საღვთო წერილი სტიგმად არ აღიქვამს სუფრასთან სიამოვნებას, ადამიანს შეუძლია, დააგემოვნოს საჭმელი, რადგანაც ზეიმობს მეგობრებთან ერთად, ამავე დროს, ფხიზლად იყოს, რომ ნაყროვანება არ გააღმერთოს. *ახალ აღთქმაში* იესო ღვთის ნდობისაკენ მოგვიწოდებს, რამეთუ იგი არის კეთილი და სულგრძელი მამა თავისი შვილებისა, მისი ქმნილებებისა (შდრ. მათ. 6,25). სახარებაში ვხედავთ, თუ როგორ ხვდება იგი ადამიანებს და როგორ ჯდება მათთან ერთად სუფრასთან, როგორც ცოდვილებთან, ფარისევლებთან, ასევე მოწაფეებთან. და ბოლოს, მან ინება, რომ თავისი უკანასკნელი სერობა მოწაფეებთან ერთად გაეზიარებინა: „სურვილით მსურდა თქვენთან ერთად მეჭამა ეს პასექი ჩემი ტანჯვის წინ“ (ლუკ. 22,15) სერობაზე მან მოატანინა არა ხორბალი ან ყურძენი, არამედ ღვინო და პური, აკურთხა ისინი მადლიერების ლოცვით, გატეხა პური და დაუნაწილა მოწაფეებს, როგორც საკუთარი ხორცი და სისხლი. თვით მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, იგი თავის მოწაფეებს სუფრაზე ხვდება, რაც სიმბოლურად იმაზე მეტყველებს, რომ მასთან ერთად ერთ სუფრაზე მარადიული ცხოვრება გველის, მისი მამის სამეფოში. იგი კაცთა საცხოვნებლად ზეციდან გარდამომავალ პურად წარადგენს თავს. მისი მოწაფეები, უკანასკნელი სერობის მოგონებისას, გაიხსენებენ მის მიერ მოხდენილ ზოგიერთ სასწაულს (პურისა და თევზის გამრავლება). საბოლოო განკითხვის დღეს ყველას მოეკითხება ეს: მშიოდა და დამაპურეთ, ან არ მომეცით საჭმელი...

ნაყროვანების მანკიერება და რამდენიმე სულიერი რჩევა

თუკი მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეუძლებელია, ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ სამონასტრო წესებზე, იმ ქრისტიანების ცხოვრებაზე, რომლებსაც სურდათ, ბოლომდე შედგომოდნენ რწმენის გზას; სამონასტრო წესები სიბრძნით შედგენილი მთელი რიგი მითითებანი გახლდათ, რაც პირდაპირ კავშირში იყო ჭამასთან: ერთად ჭამა, სადილობის დრო, საკვების სახეობა, მისი მომზადების ფორმა, ყურადღება დღესასწაულების, სტუმრების მიღების დროს, ურთიერთობა ავადმყოფებთან, ახალგაზრდებთან... მოკლედ, დიდი სიფრთხილით შედგენილი მითითებები, რაც ბერ-მონაზონთა შინაგან თავისუფლებას იცავდა, რომ ხორცსა და სულს შორის ზიარება არ გაწყვეტილიყო და რომელიმე, ამ ორ ელემენტთაგან, არ ცდუნებულიყო. აქედან, უკვე გასაგებია, რომ ბერებისათვის უწყვეტი კავშირია მათ შორის, რაც ეკლესიაში წმიდა წირვაზე აღესრულება, და რაც ოფერტორიუმში, ანუ სასადილო ოთახში, ჭამის მომენტში სრულდება. ამ მიზეზით იყო, რომ დიდი მონასტრების სასადილო ოთახებში ყოველთვის ეკიდა იესოს უკანასკნელი სერობის ამსახველი ხატი და მიანიშნებდა წირვასა და სერობას შორის, სიტყვასა და საკვებს შორის კავშირზე. ადამიანს კვებავს არა მხოლოდ მატერიალური პროდუქტი, არამედ მოსმენა, ფიქრი, ერთად ყოფნა...; თვით მარხვაც და ხორცისგან თავშეკავება წლის განსაკუთრებულ დღეებში, ან პერიოდში (ოთხშაბათი, პარასკევი, დიდმარხვის პერიოდი, ცისკარი და დიდდღესასწაულები), გარდა იმისა რომ ასკეტური საშუალებაა იმისათვის, რომ დაიცვა უბიწოების, უპოვრობისა და მორჩილების აღთქმა, მას გააჩნია ღმრთის სიტყვასთან ზიარების და მოყვასთან თანადგომის მნიშვნელობა; ზომიერება საუკეთესო საშუალებაა ჯანმრთელობის (ღვთის საჩუქარი), სხეულისა და სულიერი გრძნობების შესანარჩუნებლად, სათნოების საქმეთა შესასრულებლად (ეკლესიის მამები ამბობდნენ: ის, რაც შენს სხეულს მარხვით აკლდება, დამშეული მოყვასისთვის საკვები ხდება), სულიერი ცხოვრებითა და ლოცვით ღმერთთან მისაახლოებლად. იესოს სწავლების, მოციქულებისა და ქრისტიანი ავტორების ნაშრომების მიხედვით, ლოცვა, მარხვა და მოწყალება ერთად მიაბიჯებენ, ურყევი რწმენით მიიწევენ ცხონებისა და სიწმინდისაკენ. მორწმუნე, ქრისტიანი ადამიანის ულუფას უნდა შეადგენდეს მოკრძალებული საკვები, ის ამ კუთხითაც უნდა გამოირჩეოდეს, როგორც ქრისტიანი, მან თავისი რწმენა ასეთი სახითაც უნდა გადასცეს; სწორედ ამაზე იტყოდა წმიდა პავლე: და რომ ჭამთ... ღვთისა ხართ. ამრიგად, რასაც აკეთებთ, მისთვის გააკეთეთ, რათა ის იყოს განდიდებული.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. «საბა» 2008წ. #I.3.7–8.II.2010წ. #I

II. სოციალური მოძღვრების ბუნება

ა) რწმენით განათებული ცოდნა

72. სოციალური მოძღვრება არ ყოფილა იმთავითვე მოაზრებული მწყობრ სისტემად, არამედ ის ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში სოციალურ თემებზე ეკლესიის მაგისტრიუმის მრავალრიცხოვან გამოსვლებთან ერთად. სწორედ მისი ამგვარი წარმოშობაა მიზეზი იმისა, თუ რად ჰქონდა ადგილი გარკვეულ სხვადასხვაობებს ეკლესიის სოციალური მოძღვრების ბუნების, მეთოდებისა და ეპისტემოლოგიური სტრუქტურის ირგვლივ. საბოლოო განმარტება, რასაც წინ უსწრებდა ენციკლიკის *«Laborem exercens»*[100] ძნიშვნელოვანი შენიშვნები, მოცემულია ენციკლიკაში *«Sollicitudo rei socialis»*: ეკლესიის სოციალური მოძღვრება «განეკუთვნება... არა იდეოლოგიურ სფეროს, არამედ თეოლოგიურს, კერძოდ კი ზნეობრივ თეოლოგიას»[101]. შეუძლებელია ამ მოძღვრების განსაზღვრა სოციალურ-ეკონომიკური საზომების მიხედვით. ის არაა იდეოლოგიური და პრაგმატული სისტემა, რომელიც მიმართული იქნებოდა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური ურთიერთობების განსაზღვრისა და მათი უმთიერთდაკავშირებისაკენ, არამედ *დამოუკიდებელი კატეგორიაა*: ისაა «*ზუსტი ფორმულირება*, სარწმუნეობისა და ეკლესიის გარდმოცემის შუქზე, გულისხმიერი განსჯის შედეგებისა საზოგადოებასა და საერთაშორისო კონტექსტში ადამიანის არსებობის რთული რეალიების ირგვლივ. მისი მთავარი მიზანია ამ რეალიათა *ინტერპრეტირება*, იმის გამოკვლევა, თუ რამდენად შეესაბამება ისინი სასარებისეულ მოძღვრებას ადამიანისა და მის ერთდროულად ამქვეყნიური და ტრანსცენდენტული მოწოდების შესახებ, რათა ამგვარად, *წარმართოს* ქრისტიანული ქცევა»[102].

73. შესაბამისად, სოციალური მოძღვრება თეოლოგიური ბუნებისა, კერძოდ კი—თეოლოგიურ-მორალური, «რაკიღა ლაპარაკია მოძღვრებაზე, რომელიც განკუთვნილია *პიროვნებათა ქცევის* სახელმძღვანელოდ»[103]. «ის იმყოფება ქრისტიანთა ცხოვრებისა და მათი სინდისის სამყაროს მდგომარეობებთან გადაკვეთის წერტილში და ვლინდება იმ ძალისხმევაში, რასაც ცალკეული ადამიანები, ოჯახები, კულტურისა თუ საზოგადოების მოღვაწენი, პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელენი იჩენენ, რათა განახორციელონ და გაატარონ ის ისტორიაში»[104]. სოციალური მოძღვრება ფაქტობრივად აირეკლავს თეოლოგიურ-ზნეობრივი მოძღვრების სამ დონეს: მოტივაციათა *საფუძველმდებ* დონეს; საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმათა *დირექტიულ* დონეს; *გადაწყვეტილების მიღებათა* დონეს, რომელზეც მოქმედებს სინდისი, რომელიც მოხმობილია გამოიყენოს ობიექტური და ზოგადი ნორმები კონკრეტულ და კერძო სოციალურ მდგომარეობებში. ეს სამი დონე ირიბად განსაზღვრავს აგრეთვე საკუთარ მეთოდს და ეკლესიის სოციალური მოძღვრების სპეციფიკურ ეპისტემოლოგიურ სტრუქტურას.

74. სოციალური მოძღვრების ძირითადი საფუძველი ბიბლიური გამოცხადება და ეკლესიის გარდმოცემაა. ამ ზეგარდმო მინიჭებული წყაროდან ის იღებს შთაგონებასა და შუქს, რათა გაიგოს, განსაჯოს და წარმართოს ადამიანის გამოცდილება და ისტორია. უპირველეს და უზენაეს ყოველისა დგას ღმრთის შთანაფიქრი ქმნილებისა და, კერძოდ, ადამიანის სიცოცხლისა და მისი ხვედრის გამო, რომელიც მოხმობილია სამებისეული თანაზიარებისაკენ.

ღმრთის სიტყვის მიმღები და ცხოვრებაში გამტარებელი რწმენა ეფექტურად თანამოქმედებს გონებასთან. რწმენისაგან, კერძოდ კი, ქმედებისაკენ მიმართული რწმენისაგან მომდინარე გაგება, სტრუქტურირებულია გონების მიერ და იყენებს ყველაფერს, რისი შემოთავაზებაც ძალუძს ამ უკანასკნელს. სოციალური მოძღვრებაც, როგორც ის ცოდნა, რომლის გამოყენება ხდება ქმედების შემთხვევით და ისტორიულ ასპექტებში, შეაუღლებს «რწმენასა და გონებას»[105] (*fides et ratio*) და მათი ურთიერთობის ნაყოფიერების მეტყველი გამოხატულებაა.

75. რწმენა და გონება სოციალური მოძღვრების ორი შემეცნებითი გზაა, ვინაიდან ორია წყარო, რომლიდანაც ის იკვებება: გამოცხადება და ადამიანის ბუნება. რწმენისაგან მომდინარე ცოდნა შეიმეცნებს და წარმართავს ადამიანის ცხოვრებას ისტორიულ-ძმსნელი საიდუმლოს შუქზე,—ქრისტეში ღმერთის ჩვენთვის, კაცთათვის გამოცხადებისა და მოძღვნის საიდუმლოსი. რწმენის ეს გაგება მოიცავს გონებას, რომლის საშუალებითაც ის, რამდენადაც შესაძლებელია, ახსნის და გაიგებს განცხადებულ ჭეშმარიტებას და ავსებს მას ადამიანის ბუნების ჭეშმარიტებით. ეს ჭეშმარიტება ქმნილებაში გამოხატული ღმრთაებრივი ჩანაფიქრიდანაა აღებული,[106] ანუ, წარმოადგენს სრულ ჭეშმარიტებას ადამიანის—როგორც სულიერი და ხორციელი, ღმერთთან, მეორე ადამიანთან და სხვა ქმნილებებთან ურთიერთობაში მყოფი არსების—შესახებ.[107]

ამის გამო, ქრისტეს საიდუმლოს შუაგულში დაყენება არ ამცირებს და არც გამორიცხავს გონების როლს, ანუ, არ ართმევს სოციალურ მოძღვრებას არც რაციონალობას და არც საყოველთაო მნიშვნელობას. რაკი ქრისტეს საიდუმლო ანათებს ადამიანის საიდუმლოს, გონება აძლევს საზრისის სისავსეს ადამიანის ღირსების გაგებას და იმ ზნეობრივ მოთხოვნებს, რომლებიც იცავს ამ ღირსებას. *სოციალური მოძღვრება არის რწმენით განათებული შემეცნება,* რომელიც—სწორედ როგორც ასეთი—გამოხატავს შემეცნების მეტ უნარს. ის იძლევა ახსნა-განმარტებებს ყველა იმ ჭეშმარიტებაზე, რასაც თავად აუწყებს და იმ ვალდებულებებზე, რაც მათგან გამომდინარეობს; მისი მიღება და გაზიარება ყველა ადამიანს შეუძლია.

100 შდრ. იოანე პავლე II, ენციკ. *Laborem exercens*, 3: AAS 73 (1981) 583-584.

101 იოანე პავლე II, ენციკ. *Sollicitudo rei socialis*, 41: AAS 80 (1988) 571.

102 იოანე პავლე II, ენციკ. *Sollicitudo rei socialis*, 41: AAS 80 (1988) 571.

103 იოანე პავლე II, ენციკ. *Sollicitudo rei socialis*, 41: AAS 80 (1988) 572.

104 იოანე პავლე II, ენციკ. *Centesimus annus*, 59: AAS 83 (1991) 864-865.

105 შდრ. იოანე პავლე II, ენციკ. *Fides et ratio*: AAS 91 (1999) 5-88.

106 შდრ. იოანე პავლე II, დეკლ. *Dignitatis humanae*, 14: AAS 58 (1966) 940.

107 იოანე პავლე II, ენციკ. *Veritatis splendor*, 13. 50. 79: AAS 85 (1993) 1143-1144. 1173-1174. 1197.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბაზილიკა [ბერძ. (stoá) basiliké „სამეფო (პორტიკი)“] ბაზილიკა სპარსეთის სამეფო სასახლეთაგან მომდინარეობს: ის მეფის (baziléus-ის) სააუდენციო დარბაზს წარმოადგენდა. ბაზილიკა – რამდენიმე ნავისაგან შემდგარი სწორკუთხა დიდი დარბაზი – პრაქტიკულობის გამო გადაიღო რომაულმა სამყარომ, რადგანაც მის ერთ-ერთ ბოლოში მდებარე აფსიდა იდეალურ გარემოს წარმოადგენდა სასამართლო სხდომების ჩასატარებლად. ბაზილიკა, აგრეთვე, შეკრებათა და საქმიან გარიგებათა ცენტრადაც გამოიყენებოდა. ბაზილიკა ბუნებრივად მიესადაგა ქრისტიანულ კულტს, რასაც შენობის გეგმაში მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებების შეტანა მოჰყვა. დღეს ბაზილიკა ეწოდება ტაძარს, რომელსაც ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ნიშან-თვისება ახასიათებს: ა) ტაძარს აქვს სიგრძივი გეგმა და ერთმანეთისაგან კოლონადით გამოყოფილი სულ ცოტა სამი ნავი; ცენტრალური ნავი სხვებზე უფრო მაღალია, – იმდენად, რომ საკუთარი სარკმლები შეუძლია ჰქონდეს; ბ) ეკლესია ძველი ქრისტიანულია: ამ ტიპის ეკლესიებს IV საუკუნიდან უწოდებენ ბაზილიკებს; გ) მინიჭებული აქვს ბაზილიკის საპატიო წოდება, რისი პატივიც გამორჩეულ ტაძრებს ერგება. უძველესი დროიდან უფროს და უმცროს ბაზილიკებს განასხვავებენ. მთავარი ანუ პაპის ბაზილიკები ეწოდება რომის ოთხ მთავარ ტაძარს. ესენია: წმიდა იოანე ლატერანში, წმიდა მარია უმთავრესი, წმიდა პეტრე ვატიკანში და წმიდა პავლე გალავანს მიღმა.

ბალდაქინი [ბაღდადის ძველი სახელიდან Baldacco, რომელიც გარკვეული სახის ქსოვილის სამშობლო იყო] ოთხ ან მეტ გადასატან ბუნზე დამაგრებული, ფოჩებით მორთული ქსოვილის ოთხკუთხა ნაჭერი, რომლის დანიშნულებაა საზეიმო მსვლელობისას წმიდა ნაწილების დაცვა.

ბალუსტრადა რიკულებიანი მოაჯირი, რომელიც გამოიყენება მღვდლის სამყოფლის – პრესბიტერიუმის გამოსაყოფად ეკლესიის ნავებისაგან.

ბაპტისტები ანგლო-საქსონურ პროტესტანტიზმში აღმოცენებული ყველაზე დიდი თავისუფალი ევანგელური ეკლესიის წევრები. ამ ეკლესიის შემადგენელ სხვადასხვა ჯგუფთა უმთავრესი სახასიათო ნიშანი მოზრდილთა ნათლობაა. XVII საუკუნის დასაწყისში ამსტერდამში ემიგრირებულმა ჯ. სმითმა და თ. ჰელვისმა, დარწმუნებულებმა, რომ ბავშვობაში მიღებული ნათლობა ძალადაკარგული იყო, ხელახლა მიიღეს ნათლობა და 1608 წელს ამსტერდამის პირველი ინგლისური ბაპტისტური ეკლესია დააარსეს. ჰელვისი 1611 წელს რამდენიმე მეგობართან ერთად ინგლისში დაბრუნდა და დააარსა ეგრეთ წოდებული პირველი ბაპტისტური ეკლესია ინგლისის ტერიტორიაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში ბაპტიზმის დაფუძნება მქადაგებელ რ. უილიამსის (†1683) სახელს უკავშირდება. ამჟამად ბაპტისტთა დამოუკიდებელი საკრებულოები 1905 წლიდან გაერთიანებულია „ბაპტისტთა მსოფლიო ალიანსში“ (Baptist World Alliance), რომელიც ოცდაათ მილიონზე მეტ მომხრეს აერთიანებს (ამათგან 27 მილიონი ამერიკის შეერთებული შტატებში ცხოვრობს). ბაპტისტურ კავშირთა უმრავლესობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიეკუთვნება. სხვადასხვა ჯგუფები შეთანხმებულნი არიან მოძღვრებისა და კანონმდებლობის ძირითად საკითხებზე. ეს საკითხებია: სამოძღვრო თავისუფლება თეოლოგიაში; სავალდებულო მრწამსის არარსებობა; ბიბლია როგორც საყოველთაო ავტორიტეტი; საიდუმლოთა სიმბოლური კონცეფცია; მხოლოდ ზრდასრულთა ნათლობა (წყალში ჩასვლის გზით); ღმრთისმსახურებისათვის ხელდასხმა საკრებულოს წევრთა მიერ; ყოველგვარი რელიგიური ტრადიციისა და საეკლესიო ფორმის უარყოფა; ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ყველასთვის საერთოა აქტიური ქრისტიანობა და მისიონერული საქმიანობა წარმართულ მიწებზე.

ბაპტისტერიუმი [საეკლესიო ლათ. baptisterium (ბერძ. სიტყვიდან baptistérion)] IV საუკუნიდან სიტყვა აღნიშნავს ბაზილიკასთან დაკავშირებულ და ნათლობის აღსრულებისთვის განკუთვნილ საგანგებო შენობას. შენობის ბაზილიკისაგან განცალკავების მიზეზი იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ნეოფიტები (ახალმოქცეულნი) მხოლოდ ნათლობის შემდეგ დაიშვებოდნენ ეკლესიაში. პირველ ბაპტისტერიუმებს ჰქონდა ცენტრალური, ხუთკუთხა, ექვსკუთხა, ბერძნული ჯვრის ფორმის, უფრო ხშირად კი რვაკუთხა ან წრიული გეგმა, კამაროვანი და გუმბათოვანი გადახურვა, თუმცა, ფორმისაგან დამოუკიდებლად, ყოველი მათგანის ცენტრში 70-75 სმ. სიღრმის აუზი იყო მოთავსებული. აუზში ჩასვლა საფეხურების მეშვეობით იყო შესაძლებელი, წყალი კი მას ზემოდან მიეწოდებოდა. ბაპტისტერიუმის ამ ტიპმა მას შემდეგაც განაგრძო არსებობა, რაც XI საუკუნიდან გაუქმდა წყალში ჩაშვების გზით ნათლობა, თუმცა XIII საუკუნიდან მისი გამოყენება უფრო იშვიათი გახდა, რადგანაც ამ დროიდან ნათლობის წესი უკვე ეკლესიაში აღესრულებოდა. ამ მიზნით სანათლავ ემბაზს ეკლესიის შესასვლელის სიახლოვეს, ერთ-ერთ გვერდითა სამლოცველოში ათავსებდნენ.

ბარნაბელები მათი ოფიციალური სახელწოდებაა წმ. პავლეს რეგულარული სამღვდელონი. ბარნაბელები მათ ეწოდათ მილანის წმ. ბარნაბეს ეკლესიის მიხედვით, რომელიც ამ კონგრეგაციის პირველ ადგილსამყოფელს წარმოადგენდა (1545). კონგრეგაცია 1530 წელს წმ. ანტონიო მარია ზაქარიამ, ბარტოლომეო ფერარიმ და ანტონიო ჯაკომო მორიჯამ დააარსეს ხალხში სამწყსო მსახურების, სწავლებისა და ევქარისტული თაყვანისცემის გასავრცელებლად. თავდაპირველად მათ ინკვიზიცია დაუპირისპირდა. 1579 წელს პაპმა გრიგოლ XIII-მ კონგრეგაციის განმსაზღვრელი წესდება ცნო. ამჟამად იტალიაში ბარნაბელები მოღვაწეობენ სასკოლო სფეროსა და სამრევლო სამწყსო საქმიანობაში.

ბარუქის წიგნი ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნი, რომელსაც იერემიას მდივან ბარუქის სახელს უკავშირებენ. განეკუთვნება გვიანდელ ხანას, შემონახულია მხოლოდ ბერძნული ენაზე, აგრეთვე, სირიული და ლათინური ვერსიების სახით. წიგნი შეიცავს: შესავალს, ანუ ისტორიულ პროლოგს (1:1-14); მონანიების ლიტურგიას (1:15-3:8); ცოდნის სადიდებელ საგალობელს, რომელშიც ცოდნა მოსეს კანონთანაა გაიგივებული (3:9-4:4); წინასწარმეტყველურ ქადაგებას (4:5-5:9). ვულგატაში მას დაემატა ეგრეთ წოდებული იერემიას წერილი (თავი 6).

ბარძიმი წმიდა ჭურჭელი, რომელშიც წირვის დროს ღვინოს ასხმენ და აკურთხებენ.

ბასილიელები წმ. ბასილის (†379) სამონაზვნო წესდების მიმდევარი მონაზვნები. შეიძლება მიეკუთვნებოდნენ როგორც ბერძნულ, ასევე ლათინურ წესს, თუმცა, ჩვეულებრივ, მცდარი შეხედულებით, ბასილიელად მიიჩნევა ბერძნული წესის ყველა კათოლიკე მონაზონი. სხვებთან ერთად, კანონიკურად ცნობილია ბასილიელთა შემდეგი ორდენები: ა) **იტალიის ბასილიელ მონაზონთა ანუ წმ. მარია გროტაფერატას მონაზონთა კონგრეგაცია**. დაარსდა 1579 წლის სული წმიდის გარდამოსვლის დღეს იტალიის ბერძენ ბერთა კაპიტულუმის მიერ კალაბრიაში, სან ფილარეტე დი სემინარაში. იმავე წლის 1 ნოემბერს გამოქვეყნდა პაპ გრიგოლ XIII-ის დამფუძნებელი ბულა Benedictus Dominus; ბ) **წმ. იოსაფატის ბასილიელთა ორდენი.** სახელწოდება მომდინარეობს მონამისა და მონაზვნის იოსაფატ კუნცევიჩის (†1623) სახელიდან. ორდენი გავრცელდა ლიტვაში, გალიციასა და რუთენიაში; გ) **უწმიდესი მაცხოვრის მელქიტი ბასილიელები.** ორდენი დაარსდა 1684 წელს, მოქმედებს ლიბანში, ცნო პაპმა ბენედიქტე XIV-მ 1743 წელს; დ) **მელქიტთა წმ. იოანე ნათლისმცემლის ბასილიელთა ორდენი** (Baladiti Suwajriti). გავრცელდა ლიბანში, ცნო, ასევე, პაპმა ბენედიქტე XIV-მ 1757 წელს; ე) **მელქიტთა ალეპოს ბასილიელთა ორდენი**. 1824 წელს გამოეყო წინა ორდენს, ცნეს 1832 წელს. ბასილიელ მამაკაც მონაზვნებს შეესაბამება ბასილიელ ქალ მონაზონთა სხვადასხვა კონგრეგაცია.

რელიგიური გაერთიანებების სტატუსისათვის



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა წიგნის – „რელიგიური გაერთიანებების სტატუსისათვის საქართველოში“ – პრეზენტაცია.

ნაშრომი გამოიცა პროექტის: „საქართველოში რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვისათვის“ ფარგლებში. გამოცემას მხარი დაუჭირა ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო“. გამოცემაზე მუშაობდნენ კავშირის – „21-ე საუკუნე“ გამგეობის თავმჯდომარე პაატა გაჩეჩილაძე, იურისტები ზაქარია ქუცნაშვილი და თამარ ალექსიძე.

რწმენა და რელიგია ადამიანის ყველაზე ღრმა, სათუთ და სულიერ სფეროს განეკუთვნება. სწორედ ამიტომ რელიგიური უფლებებისადმი პატივისცემა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის თავისებურ ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ; ინდიკატორად იმისა, თუ როგორ მართლზომიერად ეპყრობა იგი პიროვნებას, მის უფლებებსა და თავისუფლებებს, – აღნიშნულია გამოცემის წინათქმაში.

საქართველოში, ისევე როგორც ზოგ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, რელიგიურ გაერთიანებათა უფლებები არ არის დაცული და რაღაც ნიშნით ხდება ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთა ინტერესების დარღვევა. ჩვენი ქვეყანა მოხსენიებულია საერთაშორისო უფლებათა დაცვის დოკუმენტებში, რომლებიც ასევე შეიცავენ რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის დებულებებს. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი კუთხით კიდევ მრავალი ხარვეზია გამოსასწორებელი. უმთავრესი კი რელიგიური გაერთიანებების სტატუსის გადაუწყვეტლობაა.

პარადოქსულია, მაგრამ საბჭოთა კავშირის კანონმდებლობაშიც კი იყო მოცემული რელიგიურ გაერთიანებათა რეგისტრაციის წესიც და უფლებებიც. მართალია, ეს კანონმდებლობითი მოთხოვნები, როგორც ბევრი სხვა მოთხოვნა, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხებოდა, ფორმალურად არ სრულდებოდა, მაგრამ იურიდიული დოკუმენტი არსებობდა და მონდომებულ ადამიანებს შეეძლოთ მიეღწიათ კიდეც სამართლისათვის. მაგალითისათვის გავიხსენებ ადიგენის რაიონის სოფელ არლის მორწმუნეთა დაჟინებულ მცდელობებს, კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური რეგისტრაციის შესახებ. თითქმის სამწლიანი სისტემატური მოთხოვნების შემდეგ, მოსკოვმა დააკმაყოფილა არლელების სურვილი და რეგისტრაციაში გაატარა მათი მრევლი და წმ. იოსების სახელზე აგებული ტაძარიც გადასცა მათ მუდმივ, უსასყიდლო სარგებლობაში.

ოცი წელია, რაც საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებელია და რელიგიურმა გაერთიანებებმა, მათ შორის, კათოლიკე ეკლესიამ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში თითქმის 800 წელია მოქმედებს და რაოდენობით მისი მრევლი მეოთხე ადგილზეა, ასევე ისტორიულადაც მრავალი სატაძრო ნაგებობა გააჩნია, ვერ მიაღწია სამართლებრივ და ღირსეულ აღიარებას.

კრებული „რელიგიური გაერთიანებების სტატუსისათვის საქართველოში“ კარგ დახმარებას გაუწევს ჩვენს ქვეყანაში მოქმედ ყველა რელიგიურ გაერთიანებას, რათა უკეთ გაერკვენ და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად მოაგვარონ მათ წინაშე წარმოჩენილი სამართლებრივი პრობლემები. კრებულში, მრავალრიცხოვან იურიდიულ დოკუმენტებთან ერთად, წარმოდგენილია მოკლე ისტორიული მომოხილვა ძირითადი რელიგიური გაერთიანებებისა, მათ შორის, საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიისა. ეს ინფორმაციები ნებისმიერ მკითხველს საშუალებას მისცემს, შეექმნას ობიექტური წარმოდგენა ქვეყანაში მოქმედი რელიგიური გაერთიანებების ისტორიის, საქმიანობის, სოციალური აქტიობის შესახებ.

წიგნის პრეზანტაციას ესწრებოდნენ: ვატიკანის ელჩი საქართველოში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი; საქართველოს სახალხო დამცველი, რელიგიური გაერთიანებების: სულიწმიდის ეკლესია, ღვთის სიტყვა, ხსნის არმია ხელმძღვანელები, სამეცნიერო სფეროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თავიანთ გამოსვლებში პროექტის ავტორებმა, სახალხო დამცველმა და ვატიკანის ელჩმა ისაუბრეს აღნიშნული პროექტის მნიშვნელობაზე, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოში სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებისათვის გაღებულ წვლილზე. სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება და გაძლიერება ერთადერთი რეალური გარანტიაა ქვეყანაში ლიბერალური და დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცებისათვის, – ეს გახლავთ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნა. ის პროექტები, რომლებიც უცხოეთის სხვადასხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდება, მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორის განვითარებისათვის.

მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოლო ხანებში შეიმჩნევა საქართველოს ხელისუფლებისა და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ინტერესის ზრდა რელიგიური გაერთიანებებისათვის ღირსეული სამართლებრივი სტატუსის მინიჭების კუთხით, რაც თანდათან უფრო თვალნათელი ხდება.

▶ 16 ᲒᲒ.

◀ 15 ᲒᲒ.

მიუხედავად საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მრავალი დაპირებისა, სამწუხაროდ, ამ მიმართებით რეალური შედეგი ჯერ არა ჩანს. ვატიკანისა და საქართველოს ურთიერთობები, გასული წლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, ახალ თვისობრივ ფაზაში შედის, ამის თვალნათელი დადასტურებაა საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა რომის პაპ ბენედიქტე XVI-სთან, ასევე, მისი ორგზის სტუმრობა თბილისის კათოლიკურ კათედრალში, საშობაო ლიტურგიის დროს. ეს ყოველივე მიგვანიშნებს საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიული როლის სათანადო აღიარებისა და საქართველო-ვატიკანის საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივების აუცილებლობაზე, რაც ასე თვალნათლივ და რეალობის სწორი ანალიზით წარმოჩინდა ჟურნალ „საბას“ იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ნუგზარ ბარდაველიძის სტატიაშიც. ამ პუბლიკაციის მნიშვნელობას საგანგებოდ გაუსვა ხაზი მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ.

მართლაც, საქართველო-ვატიკანის ურთიერთობას ფართო პერსპექტივები გააჩნია; ამისათვის დინჯად, ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნება სათანადო ნიადაგი. ყოველგვარი ინიციატივა პოლიტიკაში, მით უმეტეს, ეკლესიათაშორის სფეროში, მეტად სათუთ დამოკიდებულებას მოითხოვს. ნებისმიერმა აჩქარებამ, თუნდაც კეთილი ნებით ნაკარნახევმა, მაგრამ შესაძლო პერსპექტივის გაუანალიზებლად წარმოებულმა, შესაძლოა, მეტად უარყოფითი შედეგი მოიტანოს და შეაჩეროს დაწყებული ორმხრივი თანამშრომლობა. საქართველო-ვატიკანის ორმხრივ სასარგებლო თანამშრომლობას, რომელიც ახალ ფაზაში შევიდა, ნამდვილად აქვს პოზიტიური მომავალი, რადგან ეს არის ახალი დროის გამოწვევა, რომლის წარმატებული გადაჭრა ევროპულ ოჯახში საქართველოს წარმატებული ინტეგრაციის გარანტია.

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲣᲠᲝᲑᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ

მსოფლიოში გაიზარდა მონათლულთა რიცხვი (კათოლიკეთა დაახლოებით ნახევარი ამერიკის კონტინენტზე ცხოვრობს); მზარდი მატებაა მღვდლებისა და სემინარისტების მხრივ, სამაგიეროდ, რიცხობრივად შემცირდა მონაზონთა რიგები.

ამ ფაქტებს ნათელი ეფინება პაპის 2011 წლის Annuario-ში (წლიურ მიმოხილვაში), რომელიც ა.წ. 19 თებერვალს წარუდგინა ბენედიქტე XVI-ს ვატიკანის მდივანმა, კარდინალმა ტარჩიზიო ბერტონემ. ამ ანგარიშის გაცნობით შეგვიძლია შევაჯამოთ ის ზოგიერთი სიახლე, რომელიც მსოფლიოში კათოლიკე ეკლესიის სახელს უკავშირდება, 2010 წლიდან მოყოლებული დღემდე. ამ წლის მანძილზე, პაპმა დააარსა ათი ახალი საეპისკოპოსო კათედრა, ერთი სამოციქულო საეგზარხოსო და სამოციქულო ვიკარიატი. შეიქმნა ერთი ეპარქია თავისი კათედრით, ორი პრელატურა ეპარქიაში, ორი პრეფექტურა და ერთი სამოციქულო ადმინისტრაცია სამოციქულო ვიკარიატში.

2009 წლის სტატისტიკური მონაცემები სინთეზურ ანალიზს იძლევიან იმ ძირითად დინამიურობაზე, რაც მთელ პლანეტაზე, 2.956 საეკლესიო ოლქში მოქმედ კათოლიკე ეკლესიას ეხება. მსოფლიოში მონათლულთა რიცხვი, 2008 წლიდან 2009 წლამდე, 1.166 მილიონიდან 1.181 მილიონამდე გაიზარდა, 15 მილიონი მორწმუნით. მსოფლიოში კათოლიკე მოსახლეობის რიცხვი, კონტინენტების მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება: ამერიკა - 49,4 %, ევროპა - 24%. აზიაში კათოლიკეთა რიცხვი გაიზარდა 10,6%-დან 10,7 %-მდე. აფრიკულ ქვეყნებში, ისევე როგორც ოკეანეთში, მოსახლეობის ტოტალური ზრდა ოდნავ განსხვავდება კათოლიკე მორწმუნეთა ზრდისაგან (15,2% და 0,8%).

ეპისკოპოსთა რიცხვი მსოფლიოში, 2008 წლიდან 2009 წლამდე, 5.002-დან 5.065-მდე გაიზარდა. ამ მხრივ, ყველაზე დინამიური კონტინენტი არის აფრიკა (1,8%), მას მოსდევს ოკეანეთი (1,5%), აზია (0,8%) და ამერიკა (1,2%). ევროპაში მორწმუნეთა მატება 1,3%-ით აღინიშნა. დიოცეზის მღვდელთა რიცხვი, გარკვეული არასახარბიელო პერიოდის შემდეგ, უკანასკნელ ათწლეულებში მართლაც გაიზარდა, 2000 წლის მონაცემით, მათი რიცხვი შეადგენდა 405.178, ხოლო 2009 წლისათვის - 410.593. მკვეთრი კლება დაფიქსირდა მხოლოდ ევროპაში (0,82% - დიოცეზის მღვდლები, 0,99% - ბერები) ხოლო სხვა კონტინენტებზე მღვდლების რაოდენობა მთლიანობაში გაზრდილია. პერმანენტულ დიაკონთა რიცხვმა 2,5%-ს მიაღწია, 2008 წლის მონაცემით - 37.203, ხოლო 2009 წლისთვის - 38.155.

სამაგიეროდ, შემცირდა მონაზონთა რიცხვი. 2008 წელს მათი რიცხვი მსოფლიოში შეადგენდა 739.068-ს, ხოლო 2009 წლისთვის – 729.371. კრიზისი მაინც რჩება, მიუხედავად იმისა რომ აფრიკასა და აზიაში მათი რიცხვი მატულობს.

სამღვდელო კანდიდატების რიცხვი მსოფლიოში გაიზარდა 0,82%-ით, 2008 წლის მონაცემით, მათი რიცხვი იყო 117.024, ხოლო 2009 წლისთვის - 117.978.

ᲒᲐᲜᲣᲡᲕᲔᲜᲔ ᲛᲐᲗ, ᲣᲤᲐᲚᲝ!

ᲗᲘᲜᲐ ᲐᲠᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
* 09.09. 1927 წ. – ქუთაისი
† 19. 02. 2011 წ. – ქუთაისი



ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲤᲠᲘᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ
* 10. 04. 1951 წ. – არალი
† 23. 02. 2011 წ. – არალი



ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲘᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
* 02. 01. 1932 წ. – ქ. ვალე
† 19. 02. 2011 წ. – ქ. ვალე

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲖᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ
* 28. 03. 1935 წ. – უდე
† 21. 11. 2010 წ. – უდე



ᲞᲔᲢᲠᲔ ᲐᲗᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
* 27. 10. 1930 წ. – ქ. ვალე
† 1. 03. 2011 წ. – ქ. ვალე



ᲐᲕᲠᲝ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ
* 23. 12.1926 წ. – აზერბაიჯანი, დაბა კალინიკენტი
† 02. 03. 2011 წ. – ქ. გარდაბანი

ᲨᲝᲗᲐ ᲤᲘᲠᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
* 19. 04. 1925 წ. – ხიზაბავრა (ასპინძა)
† 23. 02. 2011 წ. – ხიზაბავრა

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ (ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ) ᲮᲘᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
* 07. 11. 1935 წ.– ქ. ვალე
† 17. 02. 2011 წ. – ვალე

ᲗᲘᲜᲐ ᲒᲝᲖᲐᲚᲝᲕᲘ
* 20. 08. 1928 წ. – ქ. ვალე
† 1. 03. 2011 წ. – ქ. ვალე



ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ
* 17. 09. 1937 წ. – ხიზაბავრა
† 12. 03. 2011 წ. – ხიზაბავრა

სარჩევი

რედაქციის გვერდი.....2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 5
კათოლიკური პასუხი.....6
ანდერძი 6
ინტერვიუ 8
სოციალური პრობლემები.....10
საარქივო მასალები.....12
ეკლესიის სოციალური სწავლება.....13
ქრისტიანობის ლექსიკონი.....14
ინფორმაცია 15
ახალგაზრდული გვერდი 18
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2011

საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

ხიზაბავრელი ახალგაზრდები ბაკურიანში

2011 წლის 25 თებერვალს, მამა პაატა ქომოშვილის ხელმძღვანელობით, ხიზაბავრის სამრევლოს ახალგაზრდების ჯგუფი დასასვენებლად ბაკურიანში გავემგზავრეთ. ბაკურიანმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა: ჩვენს წინ გადაიშალა ულამაზესი დათოვლილი ტყე და მინდვრები, თავისი ხალისიანი დამსვენებლებით.

ბაკურიანში ჩასულები, სასტუმროში დავბინავდით, მოვწესრიგდით და დამსვენებლებს შევუერთდით მხიარული ყიჟინითა და სიცილ-კისკისით. ისე გავერთეთ და ვიხალისეთ, რომ დროის შეგრძნებაც კი დავკარგეთ და სასტუმროში შებინდებისას დავბრუნდით, დავისვენეთ, ვივახშმეთ და შემდეგ, მამა პაატასთან ერთად, სასტუმროს დარბაზში შევიკრიბეთ. მ. პაატა ახალგაზრდებს მარხვის შესახებ გვესაუბრა: „მარხვა არის ერთ-ერთი უმთავრესი კეთილ საქმეთაგანი, რომელიც, სინანულისა და მოქცევის საშუალებით, ღმერთთან გვაახლოებს. მარხვა აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული ლოცვასა და მოწყალებასთან. მარხვა არ არის თვითმიზანი, არამედ სულის განწმენდის საშუალებაა“.

მამა პაატას სიტყვებმა ყველანი ღრმად ჩაგვაფიქრა, ვცდილობდით, გაგვეცნობიერებინა მარხვის არსი, მისი ნამდვილი დანიშნულება.

დღის ბოლოს ვნახეთ ფილმი და დასაძინებლად წავედით, რათა მეორე დილით, ახალი ენერგიით აღვსილებს, დრო უფრო ნაყოფიერად და ხალისიანად გაგვეტარებინა. ვცდილობდით, არც ერთი წუთი უქმად არ დაგვეკარგა. მიუხედავად სიცივისა და ყინვისა, კარგად ვერთობოდით.

დრომ სწრაფად გაირბინა და ჩვენ უკვე გამგზავრების თადარიგს შევუდექით. ბაკურიანში გატარებული დღეების სამახსოვროდ კი სურათები გადავიღეთ და შინისაკენ მიმავალ გზას დავადექით. ერთმანეთს ვუზიარებდით ბაკურიანში მიღებულ შთაბეჭდილებებსა და ემოციებს და კვლავ იქ დაბრუნებაზე ვოცნებობდით.

ხიზაბავრის სამრევლოს ახალგაზრდების სახელით, მინდა, მადლობა გადავუხადო მამა პაატას ამ ლამაზი და დაუვიწყარი დღეებისათვის.

ფიქრია მექოშვილი

რა? სად? როდის?

რამდენი გვერდი აქვს სამკუთხედს?

რამდენად განათლებულია ქართული საზოგადოება? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სცადა ერთ-ერთი ქართული ტელეარხის ჟურნალისტმა. ეთერში გასულმა სიუჟეტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია მაყურებელში, დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები ერთნაირად იწვევდა ადამიანში სირცხვილისა და სინანულის გრძნობას (ეს რეაქცია ბუნებრივია... სტუდენტმა, რომელმაც არ იცის, ვინ იყო პეტრე მელიქიშვილი და იცის, ვინ არის ბიჭოლა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ან კიდევ, როდესაც სტუდენტმა არ იცის, თუ რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი, ან რამდენი გვერდი აქვს სამკუთხედს...). ბოლოს, სიუჟეტის ავტორი ასკვნის, მიუხედავად იმისა რომ, სხვადასხვა მონაცემებით, ჩვენი ქვეყანა, დიპლომებთან ერთად, ოჯახებში წიგნების რაოდენობით ერთ–ერთი მოწინავეა მსოფლიოში, წიგნიერების დონე საკმაოდ დაბალია და “ცოდნა“ მხოლოდ თაროზე შემოდებული დიპლომებისა და სერთიფიკატების რაოდენობით განისაზღვრება.

ამ სიუჟეტის ნახვის შემდეგ, ჩნდება კითხვა, ნუთუ მართლა ასეთი უწიგნურია ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა? რა თქმა უნდა, ეს სიუჟეტი არ არის დღევანდელობის რეალური სურათი, ჩვენს შორის გაცილებით მეტი წიგნიერია. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა 12 მარტს გორში ჩატარებულმა ინტელექტუალური თამაშების შედეგებმა. უკვე რამდენიმე წელია, რაც, საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდული საბჭოს ეგიდითა და ხელშეწყობით, ტარდება ინტელექტუალური თამაშები – „რა? სად? როდის?“, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ახალგაზრდები საქართველოს თითქმის ყველა საკრებულოდან.

თბილისიდან ჩასულ ახალგაზრდებს გორში დაგხვდა სხვადასხვა საკრებულოებიდან ჩამოსული ჯგუფები. მათ დანახვაზე, სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა... ახალგაზრდების რიცხვი ასს აღემატებოდა; ეს ჩვენი ეკლესიის მომავალია! მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და შევიწროებისა, ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები ჩვენს ეკლესიაში.

თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ჩვენდა სასიხარულოდ, ამჯერად გამარჯვება წილად ხვდა არლის ახალგაზრდების გუნდს – Forever (მუდამ), რომელსაც ფინალში შესაშურ მეტოქეობას უწევდა თბილისის კათედრალის ახალგაზრდების გუნდი – „ელიტა“. ვულოცავთ არლელ ახალგაზრდებს მიღწეულ წარმატებას! თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თამაშში ყველა გამარჯვებულია. რიგი ხარვეზების მიუხედავად, ყველა გუნდმა ღირსეულად ითამაშა და ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე აჩვენა.

თამაშის დასრულების შემდეგ, ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ზოგი სახლისაკენ, ზოგი კი გორის ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად გაეშურა. ვფიქრობ, ყველა მეტნაკლებად კმაყოფილი დარჩა თამაშით. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს შორის არიან საღად მოაზროვნე და განათლებული ახალგაზრდები.

შორენა პარუნაშვილი

ვაჩუქოთ ერთი ლამაზი დღე ჩვენს თანაჯოლებს

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კავშირის „ია“-ს მობინადრეებთან

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ცნობილი იყო, რომ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები გამართავდნენ საქველმოქმედო აქციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის.

აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები კავშირ „ია“-სთან „ქრისტიან ქალთა ცენტრის“ გამგეობის წევრმა, ქ-მა ციცინო ხითარიშვილმა დაგვაკავშირა. მანვე შემოგვთავაზა, მოგვეწყო აქცია უნარშეზღუდულ ბავშვებთან და გადაგვეცა მათთვის საჩუქრები, რომელიც მათთვის „კეთილი სამარიტელის“ ორგანიზაციამ მოამზადა.

უნარშეზღუდულ ბავშვებს უფლება აქვთ, სარგებლობდნენ განსაკუთრებული მზრუნველობით; მიიღონ განათლება; აუცილებელია, მოხდეს მათი სოციალური ინტეგრაცია; ისინი უნდა სარგებლობდნენ სამედიცინო, სარეაბილიტაციო, პროფესიული და შრომითი საქმიანობისათვის მოსამზადებლად საჭირო მომსახურეობითა და დასვენების საშუალებით, – ეს ის არასრული ჩამონათვალია, რასაც ბავშვთა უფლებების კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოები უნდა აკეთებდნენ შეზღუდული უნარების მქონე ბავშვებისათვის.

საქართველოში არსებობენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სადაც გონებრივად და ფიზიკურად შეზღუდული უნარების მქონე ბავშვებზე ზრუნავენ. ერთ-ერთი მათგანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კავშირი „ია“. ის არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 2005 წელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მშობლების მიერ.

ამჟამად დღის ცენტრში 3-დან 25 წლამდე ასაკის ოცდათხუთმეტამდე აღსაზრდელია გაერთიანებული. ბენეფიციართა უმრავლესობა მძიმე გონებრივი და ფიზიკური ჩამორჩენილობით გამოირჩევა, „რომლებიც ვერ მიიღო ამ სფეროში მომუშავე ვერც ერთმა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციამ“.

ამ ცენტრში არსებული პრობლემების შესახებ გავესაუბრეთ კავშირ „იას“ თავმჯდომარეს, ქ-ნ ნინო ჭაბუკიანს. როგორც მან აღნიშნა, ცენტრის ბავშვების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებიდანაა და სახელმწიფო მათ ვაუჩერის სახით მხოლოდ 10 ლარს ურიცხავს, რაც ძალიან მცირე თანხაა შეზღუდული უნარების მქონე ბავშვებისა და მოზარდების მკურნალობის, რეაბილიტაციისა და კვებისათვის.

წინასწარ დაგეგმილმა ღონისძიებამ, რომელშიც ორივე მხარე – სტუდენტები და „იას“ აღსაზრდელები მონაწილეობდნენ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბავშვებმა დიდი ძალისხმევის ფასად შეძლეს თავიანთი უნარების მაქსიმალურად წარმოჩენა, მოირგეს სხვადასხვა როლები და სიამოვნება მიანიჭეს როგორც სტუმრებს, ისე საკუთარ თავს.

ღონისძიების ბოლო ნაწილი კი მათთვის მართლაც რომ ყველაზე ლამაზი, სასიამოვნო და ამაღელვებელი იყო: სტუდენტებმა მათ საჩუქრები გადასცეს.

ჩვენ ერთი დღით შევაღეთ მათი სამყაროს კარი, მათი ოცნებების თანაზიარნი გავხდით, შევიტყვეთ, როგორ ოცნებობს 22 წლის თაკო წამლიაშვილი მომღერლობასა და საკუთარი სიმღერების ალბომის გაყიდვაზე.

გვჯერა, ჩვენ კიდევ მრავალჯერ შევხვდებით მათ, რათა გავულამაზოთ მძიმე და ერთფეროვანი დღეები, ვაჩუქოთ სიხარული და მომავლის რწმენა.

P. S. ამ ღონისძიებას შემთხვევით „წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახ. ახალგაზრდული საქველმოქმედო გაერთიანების“ წევრებიც დაესწრნენ. დავთქვით, რომ მომავალ ღონისძიებებს ერთად დავგეგმავთ.

თამთა თავართქილაძე